$$\frac{d^2 U_x}{dX^2} - U_x \left(\frac{d\delta_x}{dX} \right)^2 = -X_0 b_x U_x \quad (1.53)$$

შემდეგ, (1.53)-ში ჩავსვათ $\frac{d\delta_x}{dX}$ მნიშვნელობა (1.46)-დან, მივიღებთ:

$$\frac{d^2 U_x}{dX^2} - \frac{X_0 P_2 + r_0 Q_2}{U_x^3} = -X_0 b_x U_x \quad (1.54)$$


(1.47)-დან $d^2 U_x / dX^2$ მნიშვნელობის ჩასმით (1.54)-ში ვპოულობთ:

$$b_x = \frac{2}{X_0} \frac{(X_0 P_2 + r_0 Q_2)^2}{U_x^4}, \quad (1.55)$$

საიდანაც საძიებო b'_x მნიშვნელობა ტოლია:

$$b'_x = \frac{2}{X_0} \frac{(X_0 P_2 + r_0 Q_2)^2}{U_x^4} - b_0, \quad (1.56)$$

სადაც U_x -ხაზის ბოლოდან X მანძილზე ძაბვის მნიშვნელობა, განისაზღვრება (1.51)-ის ან (1.52)-ის მიხედვით.



ნახ. 1.3. ხაზის გასწვრივ ძაბვის ოპტიმალური განაწილება
თუ ავდნიშნავთ $K_x = U_x/U_2$, მაშინ (1.56) გამოსახულება შეიძლება
გადავწეროთ შემდეგი სახით:

$$b_x' = b_o \left[\left(\frac{P_2}{P_c} \right)^2 \frac{2}{K_x^4} \left(1 + \frac{r_o Q_r}{X_0 P_2} \right)^2 - 1 \right] \quad (1.57)$$

ხაზში ძაბვის ამაღლების ჯერადობის დროს

$$K_x' = 1,19 \sqrt{\frac{P_2}{P_c} + \frac{r_o Q_r}{X_0 P_c}} \quad (1.58)$$

სიდიდე b_x' უახლოვდება ნულს; ეს ნიშნავს, რომ ხაზის მოცემულ
წერტილში განივი კომპენსაციას განსახილველ რეჟიმში არ საჭიროებს.
ხაზის იმ წერტილებისათვის, სადაც $K_x > K_x'$, საჭიროა ინდუქციური
ხასიათის განივი კომპენსაცია, როცა $K_x < K_x'$, - საჭიროა ტევადური
ხასიათის განივი კომპენსაცია. ამგვარად, მინიმალური დანაკარგების

რეჟიმის უზრუნველყოფისათვის ხაზის სადენებში მართვადი განივი კომპენსაციის მოწყობილობა უნდა ჩაირთოს არა მხოლოდ მოთხოვნილი რეაქტიული სიმძლავრის ცვლილებისთვის, არამედ მისი ნიშნის ცვლილებითაც.

თუ $K'_x < 1$, რაც შეიძლება მოხდეს $P_2 < P_c$ პირობებში, მაშინ მართვადი განივი კომპენსაციას ხაზის ყველა წერტილებში უნდა ქონდეს ინდუქციური ხასიათი.

მინიმალური დანაკარგების რეჟიმი ხასიათდება გარკვეული მნიშვნელობით ხაზის ბოლოებში რეაქტიული სიმძლავრის.

Q_2 -ის ანგარიშისათვის (1.35)-ის პირველი განტოლების მარცხენა და მარჯვენა ნაწილი გავამრავლოთ U_x -ზე; ხაზის ბოლო მიმდებისათვის ($x = 0$; $\delta_x = 0$) მიიღება:

$$U_x \frac{dU_x}{dx} = r_0 P_2 - X_0 Q_2 \quad (1.59)$$

(1.51)-ის დიფერენცირებით X -ის მიხედვით და $U_x dU_x/dx$ მნიშვნელობის ჩასმით (1.59)-დან მივიღებთ:

$$\left(\sqrt{U_2^4 + \ell^2(X_0 P_2 + r_0 Q_2)^2} - U_2^2 \right) / \ell = r_0 P_2 - X_0 Q_2 \quad (1.60)$$

(1.60)-ის ამოხსნა Q_2 -ის მიმართ, დაშვებით, რომ $r_0^2/X_0^2 = 0$, მივიღებთ:

$$Q_2 = Q_c \left[1 + 2 \frac{r_0}{X_0} \frac{P_2}{Q_c} - \sqrt{1 + 2 \frac{r_0}{X_0} \frac{P_2}{Q_c} + \left(\frac{P_2}{Q_c} \right)^2} \right], \quad (1.61)$$

$$\text{სადაც } Q_c = U_2^2 / (X_0 \ell)$$

დამოკიდებულება P_2 აქტიური სიმძლავრესა და Q_2 რეაქტიული სიმძლავრეს შორის შეიძლება, როგორც დადებითი ისე უარყოფითი. ხაზის ბოლოებში ერთი და იგივე ძაბვის დროს იდეალური ხაზისთვის გადასაცემი რეაქტიული სიმძლავრე $Q_1 = Q_2 = Q$. ნამ. 1.4 მოცემულია დამოკიდებულება $q = f(P_2)$ ხაზებისათვის სიგრძეებით 500,700, 1000 და 1500 კმ.


სადენებში მინიმალური დანაკარგების აბსოლუტური სიდიდეების განსაზღვრისათვის (1.45)-ში ჩაგსვათ U_x და dU_x/dX მნიშვნელობები, მიღებული (1.48) თანაფარდობიდან, და შევასრულოთ ინტეგრირება.

როცა $U_1 = U_2$ მინიმალური დანაკარგები ხაზის (სამი ფაზა) სადენებში ტოლია:

$$\Delta P = \frac{r_0 \ell C_1}{r_0^2 + X_0^2} - \frac{2r_0(X_0 P_2 + r_0 Q_2)}{r_0^2 + X_0^2} \ell_n \frac{X_0 P_2 + r_0 Q_2 + C_1 \ell / 2}{X_0 P_2 + r_0 Q_2 - C_1 \ell / 2} \quad (1.62)$$

სადაც C_1 გამოითვლება (1.50)-ის შესაბამისად.

(1.62) გამოსახულების მიხედვით იდეალური ხაზისთვის 1150 კვ ძაბვის, 600 კმ სიგრძის, როცა $P_2 = P_c$, შესრულებული ანგარიშებმა აჩვენა, რომ სადენებში შეიძლება შევამციროდ დანაკარგები 8%-ით განივი კომპენსაციის გზით მაქსიმალური დასაშვები ძაბვის ამაღლების გარეშე. აღნიშნულ პარაგრაფში მხედველობაში არაა მიღებული დანაკარგები მაკომპენსირებელ მოწყობილობაში.



ნახ. 1.4. რეაქტიული სიმძლავრე იდეალური ხაზის ბოლოებში მინიმალური დანაკარგების რეჟიმში ($U_1 = U_2$)

1.3. სიმძლავრის დანაკარგები განივი კომპენსაციის მოწყობილობებში

მართვადი განივი კომპენსაციის მოწყობილობებში დანაკარგები დამოკიდებულია არა მხოლოდ მათი კონსტრუქციული განსაკუთრებულობაზე, არამედ გადაცემის რეჟიმზე, განსაზღვრული მაკომპენსირებელი მოწყობილობის მუშაობით.

განვიხილო აღნიშნული საკითხი დეტალურად ორი ტიპის მართვადი განივი კომპენსაციის მოწყობილობების მაგალითზე: სინქრონული კომპენსატორის და რეაქტორის მბრუნავი მაგნიტური ველით. აღნიშნულ მოწყობილობებს გააჩნია დანაკარგები (1-2%). შედარებისთვის განვიხილოთ აგრეთვე დანაკარგები მაშუნტირებელ რეაქტორში ხაზოვანი მახასიათებლით, რომლებიც ფართოდ გამოიყენება 330 კვ და მაღალი ძაბვის ქსელებში.

- ნომინალური ძაბვის დროს მაშუნტირებელ რეაქტორში სრული აქტიური სიმძლავრის დანაკარგები შეადგენს 0,35-0,5%[3]. დაბალი ციფრი ეკუთვნის დიდი სიმძლავრის რეაქტორს, რომელიც გამოიყენება 750 კვ და მაღალი ძაბვის ქსელებში.

მაშუნტირებელ რეაქტორში დანაკარგები შეიძლება დავყოთ, როგორც სხვა ელექტრომოწყობილობებში, ორი მდგენელით: დანაკარგები მაგნიტოგამტარში და დანაკარგები გრაგნილებში. ძაბვის ნომინალური მნიშვნელობიდან გადახრის დროს იცვლება სრული დანაკარგები რეაქტორში, თანაც ცალკეული მდგენელები იცვლება სხვადასხვაგვარად. პირველი მიახლოებით, როგორც ეს შეიძლება მიღებული იქნეს გადაცემის რეჟიმების ანგარიშის დროს, სიმძლავრის დანაკარგები მაშუნტირებელ რეაქტორში გამოითვლება ფორმულით

$$\Delta P = \Delta P_{\text{HOM}} (U/U_{\text{HOM}})^2 \quad (1.63)$$

ამ შემთხვევაში რეაქტორი წარმოგვიდგება უცვლელი აქტიური გამტარობით, განსაზღვრული მისი ნომინალური პარამეტრებით. ქსელის სხვა ელემენტებთან შედარებით არამართავად მაშუნტირებელ

რეაქტორში დანაკარგების ცვლილებას ზოგიერთი ანგარიშების დროს მხედველობაში არ დებულობენ და მიიღებენ მას = $\Delta P_{\text{ном}}$ -ის ტოლად.

არამართვად მაშუნგირებელ რეაქტორში დანაკარგების დამოკიდებულება ძაბვისაგან აირჩევა შესაბამისად რეჟიმების ანგარიშის მიხედვით, - სინქრონული კომპენსატორი შეიძლება შეერთებული იქნეს მაღალი ძაბვის საზოანო მხედვების საშუალებით, ქვესადგურზე.

დანაკარგები ტრანსფორმატორში შეიძლება განისაზღვროს ცნობილი მეთოდით [3] უქმი სვლის ΔP_x და დატვირთვის ΔP_K დანაკარგების მიხედვით

$$\Delta P_T = \Delta P_x + \Delta P_K (S/S_{\text{ном}})^2, \quad (1.64)$$

სადაც S - ტრანსფორმატორის დატვირთვა, მვა.

დიდი სიმძლავრის ტრანსფორმატორებში ფარდობითი დანაკარგები ჩვეულებრივ შეადგენს [3] ნომინალური სიმძლავრის %-ს:

$$\Delta P_x = 0,06 \div 0,12 \quad \text{და} \quad \Delta P_K = 0,24 \div 0,35$$


მართვადი განივი კომპენსაციის დანადგარში დიდი გამტარუნარიანობის ხაზისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს მძლავრი სინქრონული კომპენსატორი, რომელშიც სრული დანაკარგები ნომინალურ რეჟიმში ტოლია $1,0 \div 1,3\%$, მათ შორის [4]-ის თანახმად: მუდმივი დანაკარგები $0,35\Delta P_{\Sigma}$, ცვლადი დანაკარგები სტატორში $0,25\Delta P_{\Sigma}$, ცვლადი დანაკარგები როტორში $0,20\Delta P_{\Sigma}$, დამატებითი დანაკარგები $0,20\Delta P_{\Sigma}$, სადაც ΔP_{Σ} - სრული დანაკარგები კომპენსატორის ნომინალური სიმძლავრის დროს.

დამატებითი დანაკარგები დაკავშირებულია როტულ დამოკიდებულებაში სინქრონული კომპენსატორის რეჟიმთან. ტექნიკო-ეკონომიური ანგარიშების შესრულების დროს მიზანშეწონილია შემოვიტანოთ გამარტივებული დაშვება, რომლის თანახმად ფარდობითი სიდიდე აღნიშნული დანაკარგების ნომინალურ რეჟიმში იყოფა თანაბრად სტატორისა და როტორის წრედებს შორის, ხოლო სხვა რეჟიმებში იცვლება სტატორისა და როტორის დენის კვადრატის პროპორციულად. ასეთი გამარტივების შედეგად ნომინალური რეჟიმისათვის შეიძლება მივიღოთ:

$$\left. \begin{array}{l} \text{მუდმივი დანაკარგები } 0,35\Delta P_{\Sigma}; \\ \text{ცვლადი დანაკარგები სტატორში } 0,35\Delta P_{\Sigma}; \\ \text{ცვლადი დანაკარგები როტორში } 0,3\Delta P_{\Sigma} \end{array} \right\} (1,65)$$

სინქრონული კომპენსატორის სხვა განსაკუთრებულობა, რომელიც აგრეთვე უნდა იქნას გათვალისწინებული, წარმოადგენს დამოკიდებულება როტორის დენის დატვირთვისაგან. როგორც ცნობილია, სინქრონული კომპენსატორს შეუძლია იმუშაოს რეაქტიული სიმძლავრის გენერაციის რეჟიმში ან მისი მოხმარების რეჟიმში; უქმი სვლის რეჟიმში ($Q = 0$) შეესაბამება როტორის დენს განსხვავებულს ნულისგან. როცა როტორის დენი ნულის ტოლია სინქრონული კომპენსატორი მოითხოვს განსაზღვრულ რეაქტიულ სიმძლავრეს; როტორის დენის მიმართულების შეცვლის დროს (უარყოფითი აგზება) რეაქტიული სიმძლავრის მოთხოვნა შეიძლება კიდევ გაიზარდოს.

სინქრონული კომპენსატორის როტორის დენის დამოკიდებულება მის რეჟიმზე ატარებს რთულ ხასიათს; დაუშვათ, რომ აღნიშნული დამოკიდებულება სწორხაზოვნია (ნახ.15).



ნახ. 1.5. სიმძლავრის დანაკარგები (მთლიანი ხაზი) და როტორის დენი (პუნქტირით) სინქრონული კომპენსატორის.

შემოვიტანოთ აღნიშვნა:

$$C = \frac{|Q_{I_{\phi=0}}|}{Q_6 + |Q_{I_{\phi=0}}|}, \quad (1.66)$$

სადაც Q_6 - სინქრონული კომპენსატორის ნომინალური სიმძლავრე, მგარ; $Q_{I_{\phi=0}}$ -სინქრონული კომპენსატორის სიმძლავრე აგზნების მოხსნის დროს, მგარ.

დანაკარგები როტორში წარმოგვიდგება შემდეგი სახით:

$$\Delta P_{\phi} = \Delta P_{\phi,6} [C^2 + 2C(1-C)Q/Q_6 + (1-C)^2(Q/Q_6)^2], \quad (1.67)$$

სადაც $\Delta P_{P,6}$ -სინქრონული კომპენსატორის როტორში დანაკარგები ნომინალური სიმძლავრის დროს; Q -სიმძლავრე მოცემულ რეჟიმში, დადებითი გენერაციის დროს და უარყოფითი რეაქტიული სიმძლავრის მოხმარების დროს.

ამგვარად, დანაკარგები სინქრონულ კომპენსატორში ნებისმიერი Q დატვირთვის დროს, მიიღება როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მნიშვნელობა, (1.65) და (1.67) საფუძველზე მივიღებთ:

$$\Delta P_{\phi} = \Delta P_{\Sigma} \{0,35 + 0,3C^2 + 0,6c(1-c)Q/Q_6 + [0,35 + 0,3(1-c)^2](Q/Q_6)^2\} \quad (1.68)$$

ნახ. 1.5 ნაჩვენებია დამოკიდებულება დანაკარგების სინქრონული კომპენსატორის რეჟიმისაგან. დანაკარგები სინქრონულ კომპენსატორში პრაქტიკულად გავლენას არ ახდენს მის სრულ სიმძლავრის მნიშვნელობაზე და ამიტომ შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ ტრანსფორმატორი დატვირთვის განსაზღვრის დროს, რომლის საშუალებით სინქრონული კომპენსატორი უერთდება მაღალი ძაბვის ხაზს.

ჯამური დანაკარგები ბლოკში ტრანსფორმატორი - სინქრონული კომპენსატორი განისაზღვრება შემდეგი გამოსახულებით:

$$\Delta P = \Delta P_x + \Delta P_K (Q/S_6)^2 + \Delta P_{\phi}, \quad (1.69)$$

სადაც Q -სინქრონული კომპენსატორის სიმძლავრე;

$S_6, \Delta P_x, \Delta P_K$ -ნომინალური სიმძლავრე, მგა, და დანაკარგები, მგვტ, ტრანსფორმატორის ნომინალურ რეჟიმში.

- მართვადი რეაქტორი მბრუნავი მაგნიტური ველით, როგორც სინქრონული კომპენსატორი, შეერთებულია მაღალი ძაბვის ხაზთან

ტრანსფორმატორით, რომელიც წარმოგვიდგება ერთიანი ბლოკით ტრანსფორმატორი - მართვადი რეაქტორი. დანაკარგები ტრანსფორმატორში განისაზღვრება (1.64)-ით.

მართვადი რეაქტორი მბრუნავი მაგნიტური ველით დიდი სიმძლავრით, წინასწარი შეფასებით ხასიათდება შემდეგი დანაკარგების ფარდობითი მნიშვნელობებით: ნორმალურ რეჟიმში 2%-მდე; მინიმალური დატვირთვის რეჟიმში ტოლია ნომინალურის 10%.

ფარდობითი დანაკარგების ცვლილება მართვად რეაქტორში მბრუნავი მაგნიტური ველით ზემოდ მოცემული საწყისი მონაცემებით წარმოგვიდგება კვადრატული დამოკიდებულებით შემდეგი სახით:

$$\Delta P_{\text{მ.რ}} = Q_6 \left[0,0065 + 0,0135 \left(\frac{Q - 0,1Q_6}{0,9Q_6} \right)^2 \right], \quad (1.70)$$

სადაც Q და Q_6 - სიმძლავრე მოცემულ რეჟიმში და ნომინალური სიმძლავრე მართვადი რეაქტორის, მგვა.

ნახ. 1.6 ნაჩვენებია დამოკიდებულება დანაკარგების მართვად რეაქტორში მისი რეჟიმისაგან ნომინალური ძაბვის დროს.

ჯამური დანაკარგები აქტიური სიმძლავრის ბლოკში ტრანსფორმატორი - მართვადი რეაქტორი წარმოგვიდგება შემდეგი გამოსახულებით:


$$\Delta P = \Delta P_x + \Delta P_k \left(\frac{Q}{S_6} \right)^2 + \Delta P_{\text{მ.რ}} \quad (1.71)$$

სადაც $S_6, \Delta P_x, \Delta P_k$ -ნომინალური სიმძლავრე და დანაკარგები ტრანსფორმატორში ნორმალურ რეჟიმში.

წინასწარ ჩართული ტრანსფორმატორის არსებობა განივი კომპენსაციის დანადგარში, შესრულებული მართვადი რეაქტორის ბაზაზე მბრუნავი მაგნიტური ველით ან სინქრონული კომპენსატორით, ზემოქმედებს ბლოკის ჯამურ მახასიათებელზე: ტრანსფორმატორი მოქმედებს როგორც მიმდევრობით ჩართული არამართვადი რეაქტორი, რის შედეგად ქსელიდან მოთხოვნილი რეაქტიული სიმძლავრე აღმოჩნდება მეტი ფაქტიური დატვირთვაზე მართვადი მაკომპენსირებელ მოწყობილობაზე, ხოლო გაცემული ქსელში (სინქრონული კომპენსატორის ვარიანტში) ნაკლები:

$$Q_{\text{ს.პ}} = \frac{I_x}{100} S_6 + \frac{\ell_K}{100} \left(\frac{Q}{S_6} \right)^2 + Q, \quad (1.72)$$

სადაც S_b, I_x, ℓ_k -ნომინალური სიმძლავრე, მგვა და
ტრანსფორმატორის პარამეტრები, %; Q -დატვირთვა მაკომპენსირებელი
მოწყობილობის, მგვ.ა.



1.6. სიმძლავრის დანაკარგები მართვად რეაქტორში მბრუნავი
მაგნიტური ველით

1.4. სიმძლავრის დანაკარგები გვირგვინზე

საპაერო ხაზის სადენებზე განსაზღვრულ პირობებში აღიძვრება გვირგვინისებრი განმუხტვა (გვირგვინი), განპირობებული ენერგიის განპნევით გარემომცველი სივრცეში, რასაც მივყავართ სიმძლავრის და ენერგიის საერთო დანაკარგების გაზრდასთან ელექტროგადაცემაში.

გვირგვინისებრი განმუხტვის პროცესის ანალიზი საპაერო ხაზის სადენებზე განხილულია სპეციალურ ლიტერატურაში [5]. უნდა აღინიშნოს, რომ გვირგვინის წარმოშობის პირობას წარმოადგენს ხაზის ძაბვის გაზრდა კრიტიკულ დონემდე - გვირგვინის საწყისი ძაბვა.

გვირგვინის საწყისი ძაბვა დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე, რომლებიც შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: პირველ ჯგუფში შედის სადენის გეომეტრიული ზომები, ფაზა, ფაზებს შორის მანძილი, ფაზებსა და მიწას შორის, სადენის გარე ზედაპირის მდგომარეობა; მეორე ჯგუფში შედის ფაქტორები, დაკავშირებული ატმოსფეროს მდგომარეობასთან, - პაერის სიმკვრივე, მისი ფარდობითი ტენიანობა, ხასიათი და ინტენსივობა ნალექის, სადენზე ყინულის დანალექი და სხვა. სხვადასხვა პირობებში ძაბვის გაზრდით დანაკარგები გვირგვინზე უეცრად იზრდება. გვირგვინი ხაზის სადენებზე თანხმლებია, გარდა სიმძლავრის დანაკარგებისა, ეგრედწოდებული რეაქტიული ეფექტისა, რომელიც გამოვლინდება დამუხტავი სიმძლავრის გაზრდით, ფაზის ჯამური მუშა ტევადობის ცვლილების შედეგად.

სამფაზა ხაზში პორიზონტალურად განლაგებულ სადენებით, გვირგვინის რეაქტიული ეფექტი დიდი ხარისხით გამოვლინდება შუა ფაზაზე, ვიდრე კიდური ფაზებზე, მათზე გვირგვინი აღიძვრება უფრო დაბალ ძაბვაზე და გამოვლინდება უფრო ინტენსიურად. სიმძლავრის დანაკარგები შუა ფაზაზე შეიძლება მიაღწიოს 150%-ს კიდური ფაზების დანაკარგების.

ზემოდ თქმულიდან გამომდინარეობს, რომ გვირგვინისებრი განმუხტვის აღმვრა და ინტენსივობა საპაერო ხაზის სადენებზე განხილული უნდა იქნეს, როგორც შემთხვევითი მოვლენა, ხოლო სიმძლავრის დანაკარგები მოცემულ დროის მომენტში - როგორც შემთხვევითი სიდიდე.

გასაშუალებული მახასიათებელი გვირგვინისებრი განმუხტვის საშუალო წლიური ხვედრითი დანაკარგების სახით გვირგვინზე, კვტ.სთ/კმ ან კვტ/კმ., გამოიყენება ელექტროგადაცემის დაგეგმარების დროს, არ იძლევა საშუალებას ვიმსჯელოთ ფაქტიურ სიმძლავრის დანაკარგებზე მოცემულ დროის მომენტში. წლიური ენერგიის დანაკარგების სიდიდე მიიღება დანაკარგებიდან, რომელსაც ადგილი აქვს სხვადასხვა დროის მომენტში გარე პირობების გათვალისწინებით,

და არ განსაზღვრავს აღნიშნული დანაკარგების განაწილებას მისი გამოვლენის ალბათობით.

საპაერო ხაზისთვის მისი კონსტრუქციული შესრულების დამოუკიდებლად ერთადერთ საშუალებას ზემოქმედებისა სიმძლავრის დანაკარგების დონეზე, დაკავშირებული გვირგვინისებრი განმუხტვასთან, წარმოადგენს ძაბვის ცვლილება. ასეთი დონისძიების დასაბუთებისათვის, როგორც ძაბვის დადაბლება, ახდენს ზეგავლენას გადაცემის რეჟიმის სხვა მაჩვენებელზე (დანაკარგები სადენების გახურებაზე, მდგრადობაზე და ა.შ). აუცილებელია გაგვაჩნდეს საიმედო წარმოდგენა მომქმედი სიმძლავრის დანაკარგებზე გვირგვინზე განსახილველ დროის მომენტში.

სიმძლავრის დანაკარგების აბსოლიტური სიდიდე გამოწვეული გვირგვინისებრი განმუხტვისაგან იანგარიშება მეთოდით, რომელიც აღწერილა [5], ან უშუალოდ გაზომვით მომქმედ გადაცემაზე სპეციალური გამზომი მოწყობილობის საშუალებით.

ხანგრძლივი სისტემატური დაკვირვება მომქმედ ხაზზე საშუალებას იძლევა დაზუსტებისა, წარმოდგენაზე სიმძლავრის დანაკარგების ცვლილების შესაძლებლობის ხასიათზე გამოწვეული გვირგვინით რეალურ პირიბებში განხილულია [6].

ცხრილი 1.1-ში [5]-დან მოცემულია კვლევის შედეგები სიმძლავრის დანაკარგების გამოწვეული გვირგვინისებრი განმუხტვისაგან ცუდი ამინდის პირობებში 500 კვ ძაბვის ხაზზე სადენებით 3AC0X330 და გახლებილი ბიჯით 400 მმ. მოცემული ექსპრიმენტის ხანგრძლივობა ცუდი ამინდში შეადგენდა 43% სრული დროის დაკვირვების რომელიც გრძელდებოდა დაახლოებით 2,5 წელი. ხაზზე ძაბვა დაკვირვების პერიოდში იცვლებოდა ნომინალურიდან $\pm 1\%$ ზღვრებში.

ერთნაირი ძაბვის დროს საშუალო სიმძლავრის დანაკარგები კარგი ამინდის პირობებში შეადგენდა 5-8-ჯერ ნაკლებს, ვიდრე ცუდ ამინდში.

სიმძლავრის დანაკარგების შეფასების დროს გვირგვინზე განვენილი გადამცემი ხაზისთვის აუცილებელია გავითვალისწინოთ სხვადასხვა კლიმატური პირობები ხაზის ტრასაზე, რომელიც დაკავშირებულია გვირგვინზე სიმძლავრის დანაკარგების

მახასიათებლები გვირგვინის არაერთგვაროვანი ინტენსივობაზე გადაცემის ცალკეულ უბნებზე. განივი კომპენსაციით მართვა იძლევა საშუალებას უბნების მიხედვით ძაბვის რეგულირების.

ცხრილი 1.1

ამინდი	დანაკარგების ხანგრძლივობა, სთ	სიმძლავრის დანაკარგები კვტ/კბ		ცუდ ამინდში ენერგიის დანაკარგების წილი, %
		საშუალო დანაკარგები დროში	მაქსიმა- ლური	
წვიმა	734	44,6	313	12,7
სველი თოვლი	390	34,1	198	5,1
მშრალი თოვლი	1035	20,3	119	8,2
ჰაერის ამაღლებული ტენიანობა (90%)	3929	17,0	186	25,8
ლრუბელი	1345	28,4	360	14,8
ნამი	220	30,0	170	2,6
მცირე წვიმა	1291	70,7	374	30,4
მოყინვა	49	26,4	56	0,4
სულ	8993	28,7	-	100

1.5. გადაცემის ძაბვის რეგულირებასა და სიმძლავრის

დანაკარგებს შორის კავშირი

გადაცემაში ელექტრული ენერგიის სიმძლავრის ნაკადის უცვლელობის დროს აქტიური სიმძლავრის დანაკარგები, როგორც იყო ნაჩვენები განისაზღვრება ძაბვის დონით. გადაცემის ძაბვის დასაშვები ზღვარზე ზემოქმედებით, შეიძლება შევცვალოთ სასურველი მიმართულებით აქტიური სიმძლავრის დანაკარგები და უზრუნველყოთ

ამგვარად სიმძლავრის სრული დანაკარგების მინიმალური
 მნიშვნელობა, რომელიც შედგენა დანაკარგებისაგან სადენებში,
 გვირგვინზე, მართვად და არამართვად მაკომპენსირებელ
 მოწყობილობებში და ტრანსფორმატორებში, რომელიც აკაგშირებს
 განსახილველ ელექტროგადაცემას სხვა სიდიდის ძაბვის ქსელთან.
 ძაბვის ცვლილება სხვადასხვაგვარად აღიქმება დანაკარგების
 ცალკეულ მდგენელებზე. გადაცემის შედარებით მცირე სიმძლავრის
 დროს - $0.3P_c$, სადენებში დანაკარგების შემცირებისთვის უნდა
 შევამციროდ ძაბვა, მაშინ როცა $P > 0.3P_c$ დანაკარგების
 შემცირებისათვის სადენებში ყოველთვის სასურველია გვქონდეს ხაზი
 მეტობით დასაშვები (+5%) ძაბვა. სხვა ხასიათი გააჩნია გვირგვინზე
 დანაკარგების დამოკიდებულებას ძაბვისაგან. მათ შემცირებისათვის
 ყოველთვის მიზანშეწონილია ხაზის ექსპლუატაცია ნაკლები დასაშვები
 ძაბვით. დანაკარგები არამართვად საკომპენსაციო მოწყობილობაში
 მცირდება ძაბვის შემცირებით, როდესაც დანაკარგები მართვად
 საკომპენსაციო მოწყობილობაში განისაზღვრება არა ძაბვის დონით,
 არამედ მოწყობილობის განტვირთვით რეაქტიული სიმძლავრისაგან,
 გამომდინარე საერთო მოთხოვნებით ელექტროგადაცემის რეჟიმისაგან.
 დანაკარგები კაგშირის ტრანსფორმატორში განისაზღვრება ენერგიის
 ნაკადის სიმძლავრით, გამავალი მასში, და ნაკლებად დამოკიდებულია
 ძაბვის დონიდან.

მოყვანილი საერთო წარმოდგენა აქტიური სიმძლავრის
 დანაკარგების ხასიათზე ელექტროგადაცემის ელემენტებში ძაბვის
 რეგულირების დროს გვიჩვენებს, რომ აქტიური სიმძლავრის


დანაკარგების მინიმიზაციის ამოცანა ძაბვის რეგულირების გზით
წარმოადგენს ოპტიმიზაციის ამოცანას, რომლის პრაქტიკული ამოხსნა
შეიძლება მიღებული იქნეს მხოლოდ კომპიუტერული ტექნიკის
დახმარებით. ამ შემთხვევაში ამოცანა უნდა ამოიხსნას არა
განკერძოებულად ცალკეული ელექტროგადაცემისთვის, არამედ ყველა
ქსელისათვის, როგორც მოცემული, ისე უახლოესი შერეული ძაბვებით.

თანამედროვე ელექტრული სისტემებში ძაბვის რეგულირება
ხორციელდება ელექტროსადგურების გენერატორებით, სინქრონული
კომპენსატორებით, დადგმული საკვანძო ქვესადგურებში,
მაკომპენსირებელი მოწყობილობით მომხმარებელებთან,
ტრანსფორმატორებით დატვირთვის ქვეშ ტრანსფორმატორებით,
დადგმული ქსელში.

ცვლადი დენის მძლავრი ელექტროგადაცემის ძაბვის რეგულირება
ეპონომიური რეჟიმის შექმნის მიზნით (სიმძლავრის დანაკარგების
შემცირება) შეძლებისდაგვარად უნდა მოხდეს დეცენტრალიზებულად,
ე.ი. განხორციელდეს გადაცემიდან უშუალოდ ახლოს ისე, რომ
მინიმალური ხარისხით იმუქმედოს ელექტროსისტემის სხვა
ელემენტების ძაბვებზე. ასეთი ადგილობრივი რეგულირებისათვის
მიზანშეწონილია გამოყენებული იქნეს კავშირის ტრანსფორმატორი,
რომელსაც გააჩნია მოწყობილობა დატვირთვის ქვეშ ტრანსფორმატორის
კოეფიციენტის ცვლილების. აღნიშნულ კვანძში რეაქტიული
სიმძლავრის არსებობის დროს ელექტროგადაცემის ძაბვის ცვლილება

ნაკლებად იმოქმედებს ელექტროგადაცემის დანარჩენი ნაწილის ძაბვის დონეზე.

ცვლადი დენის ელექტროგადაცემოს ძაბვის რეგულირების ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს მოწყობილობა მართვადი განივი კომპენსაციის. განივი კომპენსაციის მოწყობილობის განტვირთვის ცვლილებას მივყავართ რეაქტიული სიმძლავრის ნაკადის ცვლილებასთან კავშირის ტრანსფორმატორის გავლით, რაც იწვევს ძაბვის ცვლილებას სალტეზე, რომელზეც ჩართულია განსახილველი ხაზი (ნახ. 1.7).



ნახ. 1.7. პრინციპული სქემა ძაბვის რეგულირების მართვადი განივი კომპენსაციით.

δ - სისტემის ეკვივალენტური გენერატორი; $Z_{გვ3}$ -სისტემის ეკვივალენტური წინადობა.

მარტივ შემთხვევაში, როცა ტრანსფორმატორი მიერთებულია მდლავრი ელექტროსისტემის კვანძთან, რომლის ძაბვა პრაქტიკულად არ იცვლება, ძაბვის ცვლილება გადაცემაზე, %, გამოწვეული მართვადი განივი კომპენსაციის მოქმედებით, ტოლია:

$$\Delta U = \frac{\ell_K \Delta Q_{\text{მკ}}}{S_{\text{HOM}}}, \quad (1.73)$$

სადაც $S_{\text{მკ}}$ -კავშირის ტრანსფორმატორის ნომინალური სიმძლავრე, მგვა; ℓ_K -ტრანსფორმატორის მოკლედ შერთვის ძაბვა, %; $\Delta Q_{\text{მკ}}$ -მაკომპენსირებელი მოწყობილობის დამატებითი განტვირთვა.

იმ შემთხვევაში, როცა დამატებითი მოთხოვნილი რეაქტიული სიმძლავრე იწვევს ძაბვის ცვლილებას ქვესადგურის სალტეზე, რომელზეც ჩართულია კაგშირის ტრანსფორმატორი, რეგულირების ეფექტი იქნება უფრო მეტი, ვიდრე ეს გამოისახება (1.73)-ით.

1.6. გადაცემაში ენერგიის დანაკარგები

ელექტრული ენერგიის დანაკარგები წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს ეკონომიკურ მაჩვენებელს, როგორც ელექტროგადაცემაზე მთლიანად, ისე მისი ცალკეულ ელემენტებში. ზოგად სახეში ენერგიის დანაკარგები T დროის შუალედში ელექტროგადაცემის ნებისმიერ ელემენტში ტოლია:

$$\Delta \Theta = \int_0^T \Delta P(t) dt, \quad (1.74)$$

სადაც $\Delta P(t)$ - სიმძლავრის დანაკარგები მოცემულ დროის მომენტში.

გადაცემის განსახილველი ელემენტებისათვის - ხაზი, მართვადი მაკომპენსირებელი მოწყობილობა, ტრანსფორმატორი - სიმძლავრის დანაკარგები დროის მოცემულ მომენტში განისაზღვრება ელექტრული ენერგიის სიმძლავრის ნაკადით, გადაცემული ხაზით. მხოლოდ არამართვადი მაშუნტირებელი რეაქტორებისათვის განმსაზღვრელ სიდიდეს წარმოადგენს ძაბვა.

ყურადღებას იმსახურებს დანაკარგების ცვლილების ხასიათი სხვადასხვა ელემენტებში გადაცემის სიმძლავრის ცვლილებიდ დროს. P_2 აქტიური სიმძლავრის გაზრდით დანაკარგები ხაზის სადენებში იზრდება, მაგრამ დანაკარგები მართვად განივი კომპენსაციის მოწყობილობაში მცირდება (იგულისხმება, რომ $(P < P_c)$).

მაქსიმალური დანაკარგები მართვად მაკომპენსირებელ მოწყობილობაში შეესაბამება უქმი სვლის რეჟიმს, როცა დანაკარგები ხაზის სადენებში მინიმალურია.

ცალკე უნდა განვიხილოდ დანაკარგები გვირგვინზე, რომლის, სიდიდე, როგორც ეს ნაჩვენები იყო გააჩნია შემთხვევითი ხასიათი.

ელექტროგადაცემის ელემენტებში სიმძლავრის დანაკარგების ცვლილების განსაკუთრებულობა, როგორც ეს აღნიშნული იყო ზემოდ, ეჭვის ქვეშ აყენებს სრული დანაკარგების ანგარიშის ცნობილ მეთოდს დანაკარგების წლიური საათების τ რიცხვის გამოყენებით.

გადაცემაში ენერგიის დანაკარგების განსაზღვრისათვის მეტად მიესადაგება რეჟიმების დამახასიათებელი მეთოდი [7], რომლის თანახმად ელექტროგადაცემის ფაქტიურად არახაზოვანი დატვირთვის გრაფიკი დროის გასწვრივ შეიცვლება საფეხუროვანით, ბუნებრივია, ასეთი შეცვლა გრაფიკის თითოეული საფეხურის წარმოადგენს რეჟიმის დამახასიათებელს, რომლის ხანგრძლივობა აღმოჩნდება ცნობილი.

ასეთი მიდგომით ენერგიის დანაკარგები T დროის პერიოდში განისაზღვრება გამოსახულებით.

$$\Delta \Theta = \sum_1^n \Delta P_i T_i, \quad (1.75)$$

სადაც ΔP_i -სიმძლავრის დანაკარგები i დამახასიათებელი რეჟიმის; $T_i - i$ დამახასიათებელი რეჟიმის ხანგრძლივობა; აღნიშნულ შემთხვევაში

$$T = \sum_1^n T_i \quad (1.76)$$

გვირგვინზე ენერგიის დანაკარგების შეფასება, შეადგენს ენერგიის სრული დანაკარგების მცირე ნაწილს (2%) [3], რეკომენდირებულია არსებული მონაცემების საფუძველზე ჩატარდეს სხვადასხვა ძაბვების ხაზებისათვის გვირგვინზე საშუალო წლიური სიმძლავრის დანაკარგების ანგარიში.

თავი II. მართვადი განივი კომპენსაციის ტექნიკური მაჩვენებლები

2.1. ხაზის დამმუხტავი სიმძლავრე

საპაერო და საკაბელო ხაზები წარმოადგენენ რეაქტიული სიმძლავრის წყაროს, როცა მათი განტვირთვა აქტიური სიმძლავრით ნაკლებია ნატურალურზე.

ქვემოდ [3]-ის თანახმად მოცემულია გასაშუალებელი ხვედრითი მნიშვნელობა რეაქტიული (დამმუხტავი) სიმძლავრის, გენერირებული დაუტვირთავი სამფაზა ხაზით, ნომინალური ძაბვის დროს (დიაპაზონის სიდიდე, აღნიშნული ვარსკვლავით, უჩვენებს დამოკიდებულებას დამმუხტავი სიმძლავრის სადენის ან ძაფის კვეთისაგან; კვეთის გაზრდით დამმუხტავი სიმძლავრე იზრდება).

საპაერო ხაზისთვის:

$U, \text{ კვ}$	220	330	500	750	1150
-----------------	-----	-----	-----	-----	------

$$Q_{\text{დამ. მგარ/კმ}} \quad 0,13-0,14^* \quad 0,37-0,39^* \quad * \quad 0,94-0,95^* \quad 2,25 \quad 5,9$$

საკაბელო ხაზისთვის:

$U, \text{ კვ}$	35	100	220	330	500
-----------------	----	-----	-----	-----	-----

$$Q_{\text{დამ. მგარ/კმ}} \quad 0,23-0,29^* \quad 1,2-1,6^* \quad * \quad 3,6-5,0^* \quad 9,0 \quad 17,0$$

ცვლადი დენის დამმუხტავი სიმძლავრე, საპაერო და საკაბელო ხაზებისთვის, განისაზღვრება მათი კონსტრუქციით: ფაზებს შორის მანძილით და ფაზებსა და მიწას შორის; სადენების განლაგებით ფაზაში; სადენის კვეთით; ფაზებს შორის იზოლაციის დიელექტრიკული თვისებებით. დამმუხტავი სიმძლავრე, მგარ, პროპორციულია ხაზის სიგრძის და მოქმედი ძაბვის კვადრატის:

$$Q_{\text{დამ.}} = b_0 U^2 \ell, \quad (2.1.)$$


სადაც b_0 -ხაზის ხვედრითი ტევადური გამტარობა, $(\text{ომი.კმ})^{-1}$; U - მოქმედი ძაბვა; ℓ - ხაზის სიგრძე, კმ.

კაბელების კონსტრუქციული განსაკუთრებულობიდან გამომდინარე მათი ხვედრითი დამმუხტავი სიმძლავრე 15-30-ჯერ აჭარბებს საპაერო ხაზის ხვედრითი დამმუხტავი სიმძლავრეს იმავე ნომინალური ძაბვით.

ამიტომ, მიუხედავად შედარებით საკაბელო ხაზის სიგრძე გაცილებით ნაკლებია საპარავო გადამცემ ხაზზე, საკითხი განივი კომპენსაციის მოწყობილობის გამოყენება საკაბელო ქსელში შედარებით დაბალ ძაბვებზე არა ნაკლებ აქტუალურია, ვიდრე ზემაღლი ძაბვის საპარავო ქსელში.

2.2. ხაზის გასწვრივ განივი კომპენსაციის დანადგარის განაწილება

არსებითი გავლენა ტექნიკურ მაჩვენებელზე, გააჩნია განივი მაკომპენსირებელი მოწყობილობის (როგორც მართვადი ისე არა მართვადი) განლაგებას გადაცემაზე. ნახ. 2.1 ნაჩვენებია მართვადი განივი კომპენსაციის დანადგარის განლაგება.



ნახ. 2.1. მართვადი განივი კომპენსაციის დანადგარის განლაგება
ა) ხაზის ბოლოებში; ბ) ხაზის ბოლოებში და შუაში

1150 კვ ძაბვის ხაზში, 600 კმ სიგრძის, რომლის თითოეული ფაზა წარმოგვიდგება რვა სადენის კონით AC400, როცა განივი მაკომპენსირებელი მოწყობილობა ჯამური სიმძლავრით 3500 მვარ განლაგებულია ერთნაირად ბოლო ქვესადგურებში (50%-50%), სადაც შენარჩუნებულია ნომინალური ძაბვა (ნახ. 2.1, ა), სიმძლავრის დანაკარგები სადენებში (გვირგვინის გათვალისწინების გარეშე) უქმი სვლის რეჟიმში ($P_2 = 0$) შეადგენს დაახლოებით 6,5 მგვტ. იმ შემთხვევაში, როცა იმავე ხაზისთვის, მაგრამ ხაზის შუა წერტილში მოთავსებულია მაკომპენსირებელი მოწყობილობა, იგივე ჯამური სიმძლავრით (25%-50%-25%) (ნახ. 2.1, ბ) უქმი სვლის რეჟიმში, სადენებში დანაკარგები მცირდება 1,55 მგვტ-მდე.

2.3. ძაბვის ხანგრძლივი ამაღლების შეზღუდვა

რეაქტიული სიმძლავრე, გენერირებული ხაზებით და მიწოდებული ბოლო ქვესადგურების სალტეებზე, განისაზღვრება ძაბვებით გადაცემის ბოლოებში, ან მათი ცალკეულ უბნებზე, მათი სიგრძით და ელექტრული ენერგიის სიმძლავრის ნაკადით, გადაცემული მოცემული ხაზით. დიდი რეაქტიული სიმძლავრეს ბოლო ქვეადგურის სალტეებზე აქვს ადგილი უქმი სვლის რეჟიმში და მცირე დატვირთვის რეჟიმში ($P \ll P_c$); ენერგიის ნაკადის სიმძლავრის გაზრდის მიხედვით რეაქტიული სიმძლავრის დანაკარგები ხაზის ინდუქციურ წინადობაში იზრდება და მისი მიწოდება ბოლო ქვესადგურებზე მცირდება, და უახლოვდება ნულს, როცა აქტიური სიმძლავრე, ახლოსაა ხაზის ნატურალური სიმძლავრესთან. ხაზში დამმუხტავი დენების გავლის შედეგად ძაბვა ხაზის შუალედურ წერტილებში იქნება განსხვავებული ბოლოებში ძაბვისაგან. როგორც ცნობილია, ხაზის ბოლოებში ერთნაირი ძაბვის შემთხვევაში ან მისი ცალკეულ უბნებში და გადაცემის განტვირთვის დროს ხაზის ნატურალური სიმძლავრეზე ნაკლები, ძაბვა იზრდება ხაზის ბოლოებიდან მისი შუა ნაწილისაკენ, სადაც მიიღწევა მაქსიმალური მნიშვნელობა. ძაბვის ამაღლების

ჯერადობა ხაზის შუა წერტილში, შედარებით ძაბვასთან ხაზის ბოლოებში, იზრდება ხაზის სიგრძის გაზრდასთან, ხოლო მისი მაქსიმალურ მნიშვნელობას ადგილი აქვს უქმი სვლის რეჟიმში.

ელექტრული ენერგიის ნაკადის სიმძლავრის გაზრდით ხაზის ნატურალური სიმძლავრეზე ზევით, იწვევს აუცილებლობას მივაწოდოთ ხაზში რეაქტიული სიმძლავრე ბოლო ქვესადგურებისა სალტეებიდან. აღნიშნულ რეჟიმებში ძაბვა ხაზის შუალედურ წერტილებში იქნება დაბალი, ვიდრე მის ბოლოებში. ზემოდ მოყვანილი მოსაზრება ძაბვის ცვლილების ხასიათზე მიეკუთვნება ცვლადი დენის ხაზებს, რომლის სიგრძე არ აღემატება 1200-1300 კმ.

500 კვ და მეტი ძაბვის საპაერო ხაზისათვის იზოლაციის ნორმალური მუშაობის პირობის მიხედვით მუშა ძაბვის ამაღლება ნომინალურზე არ უნდა აჭარბებდეს 5%. აღნიშნული მოთხოვნის შესრულება დაკავშირებულია საპაერო ხაზის ქვესადგურებს შორის მანძილის შეზღუდვასთან.

უნდა აღინიშნოს, რომ ძაბვის ამაღლება ხაზის ბოლოში იმოქმედებს არა მხოლოდ მის იზოლაციაზე, არამედ ქვესადგურის ძირითადი მოწყობილობის იზოლაციაზე: ტრანსფორმატორები, გამთიშველები, ამომრთველები და ა.შ., რომლისთვისაც აღნიშნული ფაქტორი განსაკუთრებით საშიშია.

განვიხილავთ რა უქმი სვლის რეჟიმს, რომელიც ხასიათდება ძაბვის მნიშვნელოვანი ამაღლებით ხაზის შუალედურ წერტილებში, შეიძლება დავადგინოთ მაქსიმალური ხაზის სიგრძე, რომლისთვისაც ძაბვა შუალედურ წერტილებში არ გამოვა დასაშვები ზღვრებიდან.

ხაზის უქმი სვლის რეჟიმისათვის კავშირი მაქსიმალური ძაბვასა და ძაბვას შორის, რომელიც შენარჩუნებულია ხაზის ბოლოებში, განისაზღვრება, მარტივი გამოსახულებით, რომელიც გამომდინარეობს (1.1)-დან:

$$\bar{U}_{\text{მაქ.}} = U_{\text{ბოლ.}} / chy \ell_1, \quad (2.2)$$

სადაც ℓ_1 ტოლია ხაზის სიგრძის ნახევრის, რომლის ორივე ბოლოებში შენარჩუნებულია ერთნაირი ძაბვა $U_{\text{ბოლ.}}$.

უმრავლეს შემთხვევაში 500 კვ და მეტი ძაბვის გადაცემის ნორმალური რეჟიმი გადაცემის და მიმღების ქვესადგურები განსხვავდებიან უმნიშვნელოდ, რაც იძლევა საშუალებას გამოვიყენოთ (2.2) გამოსახულება წინასწარი ანალიზისათვის ხაზის გასწვრივ ძაბვის ცვლილების ხასიათით.

ხაზის ერთობლივი ჩართვის დროს ძაბვა გახსნილ ბოლოში

$$\bar{U}_{\text{ძაბ.}} = \bar{U}/ch\gamma\ell \quad (2.3)$$

შევნიშნავთ, რომ ხაზის თავისუფალ ბოლოში ძაბვის ამაღლება იმოქმედებს არა მხოლოდ მის იზოლაციაზე, არამედ ქვესადგურის ძირითადი მოწყობილობის იზოლაციაზე: ტრანსფორმატორები, გამთიშველები, ამომრთველები და ა.შ.

საანგარიშო გამოსახულების გამარტივებისათვის შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ ხაზის აქტიური წინაღობა, მისი სიმცირის გამო. 500 კვ და მეტი ძაბვის ხაზისათვის აქტიური წინაღობა 8-20-ჯერ ნაკლებია ინდუქციურ წინაღობაზე. ჩავთვალოდ r_0 სადენის ტოლია ნულის, მივიღებთ გავრცელების კოეფიციენტი

$$\gamma = j\alpha, \quad (2.4)$$

რაც იძლევა საშუალებას (2.3)-ზი $ch\gamma\ell$ -ის ნაცვლად შემოვიყვანოთ $\cos\alpha\ell$.

ასეთი დაშვების დროს საპარო ხაზის მონაკვეთის ზღვრული სიგრძე საკვანძო წერტილებს შორის, რომელშიც შენარჩუნებულია ნომინალური ძაბვა, ტოლია

$$\ell_{\text{ზღ.}} = \frac{2}{\alpha} \arccos \left(\frac{U_{\text{ნომ.}}}{U_{\text{ძაბ.}}} \right) \quad (2.5)$$

საპარო ხაზისთვის 500 კვ და მეტი ძაბვისთვის α -ს მნიშვნელობა იმყოფება ზღვრებში $(1,06-1,09) \cdot 10^{-3}$ რად/კმ, რაც განსაზღვრავს როცა $U_{\text{ძაბ.}} = 1,05 U_{\text{ნომ.}}$ ხაზის საკვანძო წერტილებს შორის მონაკვეთების ზღვრული სიგრძე, რომელშიც შენარჩუნებულია ნომინალური ძაბვა შეადგენს 590-600 კმ. ხაზის ერთმხრივი ჩართვის დროს ზღვრული სიგრძე აღმოჩნდება ორჯერ ნაკლები, ე.ი. არ აღემატება 300 კმ.


მოცემული მონაცემები გვიჩვენებს, რომ ძაბვის შეზღუდვის მიხედვით უქმი სვლის რეჟიმში და მცირე დატვირთვის დროს საპარო

ხაზი სიგრძით 300 კმ-მდე შეიძლება შევიდეს ექსპლუატაციაში ამა თუ იმ დამატებითი მოწყობილობის გარეშე; ხაზი სიგრძით 300-დან 600 კმ-მდე უნდა აღიჭურვოს განივი კომპენსაციის მოწყობილობით, რომელიც ზღუდავს ძაბვას გახსნილი ხაზის ბოლოში;

როცა ხაზის სიგრძე მეტია 600 კმ-ზე, მაკომპენსირებელი მოწყობილობა აუცილებელია მოვათავსოდ ხაზის შეალებურ წერტილებში.

2.4. განივი კომპენსაციის დანადგარის განლაგება

განივი კომპენსაციის დანადგარის განლაგება მაღალი ძაბვის ხაზის ბოლოს ქვესადგურებზე, მაკომპენსირებელი მოწყობილობის მიერთების სქემა შეიძლება დაიყოს ორი პრინციპიალურად განსხვავებული ჯგუფად. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ვარიანტი განივი კომპენსაციის მოწყობილობის მიერთება მაღალი ძაბვის ხაზთან უშუალოდ ახლოს ქვესადგურის სალტისგან, სახაზო ამომრთველის შემდეგ (ნახ. 2.2, ა); მეორე ჯგუფს მიეკუთვნება მიერთება მაკომპენსირებელ მოწყობილობის ქვესადგურის სალტესთან, როგორც მაღალი, ისე დაბალი ძაბვის საფეხურზე (ნახ. 2.2, ბ) უმრავლეს შემთხვევაში ტრანსფორმატორები და ავტოტრანსფორმატორები, დადგმული დამადაბლებულ ქვესადგურზე, გააჩნიათ მესამე გრაგნილი ძაბვით 10-35 კვ, საკმარისი სიმძლავრით, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს მაკომპენსირებელი მოწყობილობის მისაერთებლად. ტექნიკური მახასიათებლები მოცემული სქემების შესამჩნევად განსხვავდება.



ნახ. 2.2. მართვადი განივი კომპენსაციის მიერთების სქემები.

ა-ხაზუე ქვესადგურთან ახლოს; ბ- ქვესადგურზე

განვიხილოთ მოცემული სქემები დეტალურად და გამომავლინოთ მათი უპირატესობა.

ხაზის ცალმხრივი გამორთვის დროს დამყარებული და გარდამავალი რეჟიმებში გადამეტაბვის შეზღუდვა, აგრეთვე მისი დაყენება ძაბვის ქვეშ ერთ-ერთი ქვესადგურის მხრიდან შესაძლებელის განივი კომპენსაციის მოწყობილობით, მხოლოდ იმ პირობით მათი მიერთებით ხაზთან ამომრთველის შემდეგ. ამ შემთხვევაში ტრანსფორმატორის ან ავტოტრანსფორმატორის გამორთვა არ გამოიწვევს საშიშ გადამეტაბვას გადაცემაზე.

ძაბვის რეგულირება ქვესადგურის მაღალი ძაბვის სალტეზე, მართვადი განივი კომპენსაციით, მიერთებული უშუალოდ ხაზთან, მიიღწევა ნაკლები დიაპაზონის რეგულირებით და არ იწვევს მნიშვნელოვან ძაბვის ცვლილებას სხვა ძაბვის ქსელში, დაგაშირებული მოცემულ ქვესადგურთან.

2.5. მართვადი განივი კომპენსაციის დანადგარის სიმძლავრე და მოთხოვნები ღრმა რეგულირებასთან

ფიზიკური პარამეტრები, რომლებიც განსაზღვრავენ განივი კომპენსაციის დანადგარის სიმძლავრეს, წარმოადგენენ ხაზის რეაქტიული სიმძლავრის მაქსიმალურ ჭარბი და დეფიციტურ სიმძლავრეს, მაკომპენსირებელი მოწყობილობის განლაგების ადგილში.

ეს სიდიდეები თვისობრივად გადაცემის რეჟიმების ხასიათიდან განსაზღვრული, სახელდობრ უქმი სვლის რეჟიმებით და გადაცემის მაქსიმალური აქტიური სიმძლავრით.

მაქსიმალური აქტიური სიმძლავრის რეჟიმში რეაქტიული სიმძლავრის დეფიციტს მივყავართ ხაზში ძაბვის შემცირებასთან, რაც ამცირებს პარალელური მუშაობის მდგრადობის მარაგს და ერთდროულად იწვევს ხაზში დანაკარგების გაზრდას.

მომქმედ ელექტროგადაცემაში დამმუხტავი სიმძლავრის კომპენსაციის ხარისხი, რომლის ქვეშ იგულისხმება მისი ფარდობითი წილი, მოთხოვნილი მაკომპენსირებელი მოწყობილობით, იცვლება ფართო ზღვრებში. მაგალითად ყოფილ საბჭოთა კავშირში პირველი გადაცემა 400-500 კვ ძაბვაზე სიგრძით 800-100 კმ, მათი ექსპლუატაციაში შეყვანის მომენტში გამოყენებული იყო არამართვადი განივი კომპენსაცია, რომლის სიმძლავრე არ აჭარბებდა 40% ხაზის მონაკვეთის დამმუხტავი მოწყობილობის. ასეთი ხარისხის კომპენსაციის დროს ადგილი აქვს სიმნელეებს ზოგიერთი რეჟიმების განხორცილებებაში [8].

რეაქტიული სიმძლავრის გადაცემა ტრანსფორმატორებით ან ავტოტრანსფორმატორებით ქვესადგურებში მაღალი ძაბვის ქსელიდან დაბალი ძაბვის ქსელში იწვევს არასასურველ ძაბვის დონეების ცვლილებას, არამწარმოებლურად გადატვირთვას მოწყობილობებს და იწვევს დანაკარგების გაზრდას.

კომპენსაციის ხარისხის არჩევა კონკრეტული გადაცემისათვის ემყარება ადგილობრივ პირობებს, რომელშიც შედის ისეთი ფაქტორები, როგორც ელექტროსისტემის მახასიათებლები, განპირობებული რეაქტიული სიმძლავრის ბალანსით. ზოგადი რეკომენდაციები განივი კომპენსაციის მოწყობილობის სიმძლავრის მიხედვით მიდის კომპენსაციის ხარისხის ამაღლებასთან ხაზის ნომინალური ძაბვის გაზრდასთან, მისი დაყვანა ზღვრულ მნიშვნელობამდე (100%) ან მასთან ახლოს ზემაღალი ძაბვის გადაცემისათვის.

ქვემოდ მოყვანილია მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ ნომინალურ სიმძლავრეს განივი კომპენსაციის მოწყობილობის 100 კტ


სიგრძეზე ერთჯაჭვიანი საჰაერო ხაზის ძაბვის სხვადასხვა დონეებით,
რომელიც შეესაბამება დამმუხტავი სიმძლავრის სრულ კომპენსაციას:

$$U_{\text{ჯ}} \dots \dots \quad 220 \quad 330 \quad 500 \quad 750 \quad 1150$$

მაკომპენსირებელი დანადგარის ნომინალური სიმძლავრა,

$$\text{მგვარ} \dots \quad 13,5 \quad 38 \quad 95 \quad 225 \quad 590$$

ცვლადი დენის მძლავრი გადაცემის რეჟიმების ანალიზი
გვიჩვენებს, რომ ბევრი მათგანი, განსაკუთრებით პირველად ატარებენ
ელექტროენერგიის ნაკადს, რომლის სიმძლავრე არ აჭარბებს 60-70%
ხაზის ნატურალურ სიმძლავრეს. აღნიშნულ პირობებში განივი
კომპენსაციის მოწყობილობის სიმძლავრის ცვლილება იმ სიდიდედე,
რომელიც მოეთხოვება მუშა რეჟიმს, იქნება ნაკლები, ვიდრე მათი
ნომინალური სიმძლავრის დროს, არჩეული უქმი სვლის რეჟიმის
მიხედვით. აქედან გამომდინარე შესაძლებლობა როგორ
დავაკომპლექტოდ განივი კომპენსაციის დანადგარი, ისე რომ მათ
შემადგენლობაში შედიოდეს როგორც მართვადი მოწყობილობა, ისე
არამართვადი. ნახ. 2.3 ნაჩვენებია პრინციპიალური სქემები
კომბინირებული დანადგარების. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში
განივი კომპენსაციის დანადგარის შემადგენლობის შერჩევა უნდა
დასაბუთდეს ეკონომიკური მოსაზრებით, თუმცა პირველი შეხედვით
შეცვლა ნაწილში მართვადი რეაქტორის არამართვადით
წარმოგვიდგება მიზანშეწონილი როგორც კაპიტალური დაბანდებით,
ისე სიმძლავრის და ენერგიის დანაკარგების მიხედვით.



ნახ. 2.3. განივი კომპენსაციის დანადგარის კომბინირებული სქემები.

ამრ- არამართვადი რეაქტორი; δ -ტრანსფორმატორი;

სვ - სინქრონული კომპენსატორი; მრ - მართვადი რეაქტორი;

თავი III. განივი კომპენსაციისათვის მოწყობილობების სახეობები

3.1. ზოგადი მონაცემები

განივი კომპენსაცია გამოიყენება იმ მიზნით, რომ უზრუნველყოთ ძაბვების განაწილება საზებში და ზემოქმედება მოვახდინოთ რეაქტიული სიმძლავრის მნიშვნელობაზე და ნიშანზე გადაცემის ბოლოებში და კვანძებში, სადაც ხორციელდება ტრანსფორმატორული კავშირი სხვა ძაბვის საზებოან. თუ კომპენსაცია სრულდება მართვადი სტატიკური კომპენსატორების საფუძველზე, მაშინ გაჩნდება შესაძლებლობა გადავწყვიტოდ სამი ძირითადი რეჟიმული ამოცანები:

- პარალელური მუშაობის მდგრადობის უზრუნველყოფა;
- ნორმალურ რეჟიმებში ძაბვის რეგულირება;
- შიდა გადამეტაბკების შეზღუდვა.

გადაცემის საწყის ბოლოში და იმ კვანძებში, სადაც გაგვაჩნია გენერატორები ელექტრული ენერგიის, ჩვეულებრივ მიმართულია რეაქტიული სიმძლავრის ბალანსის შენარჩუნებისკენ. მეორე მხრივ სინქრონული გენერატორების ერთეული სიმძლავრის გაზრდა, მიღწეული აქტიური მასალების ინტენსიური გამოყენებით, ზღუდავს მათ შესაძლებლობას, როგორც რეაქტიული სიმძლავრის წყარო და მომხმარებელი. იზრდება ნომინალური სიმძლავრის კოეფიციენტი: 100 მგვტ სიმძლავრის ტურბოგენერატორისთვის - 0,8; 500 მგვტ სიმძლავრის ტურბოგენერატორისთვის - 0,85; 800 და 1200 მგვტ სიმძლავრის ტურბოგენერატორებისთვის - 0,9. მომავალში პერსპექტიული 2000 და 3000 მგვტ სიმძლავრის ტურბოგენერატორებისთვის

გათვალისწინებულია - 0,95. იზრდება გარდამავალი რეაქტიული წინაღობა დაახლოებით 40%-მდე ორპოლუსიანი გენერატორებისთვის და 50%-მდე ოთხპოლუსიანი გენერატორებისთვის. მცირდება როტორის ფორსირების დენის დასაშვები ხანგრძლივობა. შედეგად უარესდება ენერგოსისტემაში გენერატორების პარალელური მუშაობის პირობები, კერძოდ რეაქტიული სიმძლავრის მოთხოვნის რეჟიმში.

დიდი სიმძლავრეების გენერატორების აღნიშნული განსაკუთრებულობა, მოითხოვს ელექტროსადგურებში რეაქტიული სიმძლავრის სტატიკური კომპენსატორების გამოყენებას ძაბვების რეჟიმების უზრუნველყოფისათვის. შესაბამისად იზრდება გადაცემის გამტარუნარიანობა მდგრადობის პირობების მიხედვით [9]. ასეთი დაყოფა ფუნქციის აქტიური (სასარგებლო) და რეაქტიული (გაცვლითი) სიმძლავრეების გენერაციის წარმოადგენს მეტად პერსპექტიულს ენერგეტიკული სისტემის რეჟიმების ეფექტური მართვისათვის.

განივი კომპენსაციის საშუალება, დადგმული გადაცემაზე დამყარებული რეჟიმების პირობების მიხედვით, რათქმა უნდა ზემოქმედებს ძაბვების განაწილებაზე და მნიშვნელობაზე გარდამავალ რეჟიმებში. გარდა ამისა ზემადალი ძაბვის (1000 კვ-ზე მეტი) გადაცემაში შიდა გადამეტაბელის შეზღუდვის საკითხები გავლენას ახდენენ კომპენსაციის საშუალების შერჩევაზე [10]. მაკომპენსირებელი მოწყობილობების ზოგიერთი სახეები ითავსებენ მართვის თვისებას არაწრფივი ბუნებრივი კოლტ-ამპერული მახასიათებლების, ხასიათდებიან გადამეტაბელების შეზღუდვით. რათქმა უნდა ასეთი

თვისებების შეთავსება ერთ მოწყობილობაში წარმოადგენს მის ღირსებას.

მაკომპენსირებელი მოწყობილობის რეგულირების სიჩქარეს გააჩნია მნიშვნელოვანი მნიშნელობა გამტარუნარიანობის ამადლებისათვის სტატიკური მდგრადობის პირობის მიხედვით. მაკომპენსირებელი საშუალების ღირებულება და ენერგიის დანაკარგები მასში ზეგავლენას ახდენს მთლიანად გადაცემის ეკონომიკურ მაჩვენებელზე და მით მნიშვნელოვნად, რაც მეტია მისი გამტარუნარიანობა.

მოეთხოვება მაღალი საიმედოობის ხარისხი მაკომპენსირებელ მოწყობილობას, რადგან მისი დაზიანების შემთხვევაში მნიშვნელოვნად მცირდება გადაცემის გამტარუნარიანობა.

ბოლოს, მაკომპენსირებელი საშუალების მიერთებამ არ უნდა გამოიწვიოს გადაცემის ექსპლუატაციის გართულება: სინქრონული კომპენსატორებისთვის ეს შეიძლება იყოს მოკლედ შერთვის დენის გაზრდა, გარდამავალი პროცესის ხარისხის შემცირება, კომპენსატორების გამოვარდნა სინქრონიზმიდან; სტატიკური კომპენსატორებისათვის - მაღალი როგოს პარმონიკების წარმოქმნა.

მართვადი განივი კომპენსაციის საშუალება შეიძლება დაიყოს მოქმედების პრინციპის მიხედვით ორ ჯგუფად: ძაბვის პარამეტრული სტაბილიზატორი და მარეგულირებელი მოწყობილობა.

მარეგულირებელი მოწყობილობას მიეკუთვნება: მართვადი რეაქტორები, რეაქტორ-ტირისტორული და კონდენსატორულ-

ტირისტორული ბლოკები და სტატიკური კომპენსატორები მათ საფუძველზე, აგრეთვე სინქრონული კომპენსატორები.

ტერმინი სტატიკური კომპენსატორი აღნიშნავს კომპლექსურ მოწყობილობას, არ შეიცავს მოძრავ ნაწილებს, რომელიც სასარგებლოა როგორც მომხმარებლისთვის, ისე რეაქტიული სიმძლავრის გენერირებისათვის. რეაქტიული სიმძლავრის მნიშვნელობა იცვლება კომპენსატორის მარეგულირებელ ელემენტზე ზემოქმედების გზით, კერძოდ, მის მოჭერებზე ძაბვის უცვლელობის დროს. რეაქტიული სიმძლავრე პარამეტრული სტაბილიზატორის, კომპენსატორისგან და მარეგულირებელი მოწყობილობისგან განსხვავებით, იცვლება მხოლოდ მოჭერებზე ძაბვის ცვლილების დროს.

500 კვ და მეტი ძაბვის გადაცემაზე ჩვეულებრივ აყენებენ მაშუნტირებელ არარეგულირებად რეაქტორებს ხაზოვანი ვოლტ-ამპერული მახასიათებლებით.

3.2. ძაბვის პარამეტრული სტაბილიზატორები

პარამეტრული სტაბილიზატორის ძირითად ელემენტები წარმოადგენს გაჯერებული რეაქტორი, ე.ი. რეაქტორი არაწრფივი ვოლტ-ამპერული მახასიათებლებით, განპირობებული გაჯერებით მისი მაგნიტური სისტემის. რეაქტორის მაგნიტური სისტემა მზადდება ცივნაგლინი ფოლადისაგან, მცირე ხვედრითი დანაკარგებით და პრაქტიკულად დამაგნიტების მართკუთხა მახასიათებლით. წარმოდგენას

მახასიათებლის დახრილობაზე იძლევა შემდეგი ციფრები, რომლებიც
მიეკუთვნება რეაქტორს 45 მვ.ა, 11 კვ: დინამიკური ინდუქციური
წინაღობა გაჯერების არეში -0,4 ომი;

გაუჯერებელ არეში - 30 ომი, ე.ი. 75-ჯერ მეტი. აქტიური
სიმძლავრის დანაკარგები ნომინალური დენის დროს ნაკლებია 0,7%-ით.
მუშა ძაბვა გაჯერებული რეაქტორის არ აჭარბებს 33 კვ, და ის
შეერთებულია ხაზთან ტრანსფორმატორით. შუალედური
ტრანსფორმატორის მაგნიტური განბნევის წინაღობა ემატება
რეაქტორის წინაღობას და იზრდება ის 30-40%-ით. ანგარიშები
აჩვენებს, რომ ასეთი დინამიკური წინაღობის დროს და რეაქტორის
ნომინალური სიმძლავრის დროს მისი მასტაბილიზირებული მოქმედება
საკსებით არასაკმარისია. ამიტომ გაჯერებული რეაქტორის
მიმდევრობით ჩართულია კონდენსატორი, რომ შევამციროდ ძაბვის
მიხედვით სტატიზმი. კონდენსატორების ბატარეების სიმძლავრე
შეადგენს 10-15% რეაქტიული სიმძლავრის.

შევნიშნავთ, რომ ტევადური კომპენსაციის დროს რეაქტორის
წრედში განბნევის წინაღობა გარდაუვალია და მისი შესრულება
მაღალი მუშა ძაბვით, ტოლია ხაზის ძაბვის.

ძაბვის პარამეტრული სტაბილიზატორი შეიძლება აიგოს
გაჯერებული რეაქტორის ბაზაზე მბრუნავი მაგნიტური ველით.
უპირატესობა მაგნიტური სისტემის მბრუნავი მაგნიტური ველით
გამოიხატება სრული გამორიცხვით მაღალი რიგის ჰარმონიკების.

ძაბვის პარამეტრული სტაბილიზატორის უარყოფით მხარეს
წარმოადგენს სტატიზმი ძაბვის მიხედვით, რომელიც შეადგენს

რამოდენიმე პროცენტს. კონდენსატორის გარეშე პარამეტრული სტაბილიზატორი რეაქტორის წრედში არა ეფექტურია, როგორც საშუალება გამტარუნარიანობის ამაღლებისა, თუმცა სასარგებლობიდა გადამეტაბების შეზღუდვისათვის.

3.3. მართვადი რეაქტორები და ტრანსფორმატორები

რეაქტორები მართვადია, რომლის პარამეტრები იცვლება შემაგნიტების საშუალებით. ანალოგიურად მართვადია ტრანსფორმატორები როცა მისი მაგნიტოგამტარი შემაგნიტდება რეაქტიული მომხმარებლის გაზრდის მიზნით.

მართვადი რეაქტორები არსებობენ გრძივი, განივი და რგოლისებრი შემაგნიტებით (ბოლო - როცა გამოიყენება მბრუნავი მაგნიტური ველი).

რგოლისებრი შემაგნიტება გამოიყენება რეაქტორების მართვისათვის მბრუნავი მაგნიტური ველით. ასეთი ტიპის რეაქტორები ხასიათდებიან ელექტრომაგნიტური სიმეტრიით, რომლის შენარჩუნება ხორციელდება მუდმივი დენის შემაგნიტებით. პრაქტიკულად გამორიცხულია რეაქტორის დენში მაღალი რიგის პარმონიკები (ნაკლებია 1%-ზე), ყველა ნორმალურ რეჟიმებში, მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარეობს მაგნიტოგამტარის შემაგნიტება და ამით განპირობებულია ვოლტ-ამპერული მახასიათებლების არაწრფივობა. რეაქტორის უპირატესობას წარმოადგენს აგრეთვე გამორიცხვა პირდაპირი ელექტრომაგნიტური კავშირის ძირითადი სამფაზა

გრაგნილსა და მართვის გრაგნილს შორის, უზრუნველყოფს მუდმივი დენის წყაროს ფორსირების ეფექტურობას. კონსტრუქციულად ასეთი რეაქტორი შეიძლება დამზადდეს 300-400 მგვა ერთეული სიმძლავრით, 35 კვ ძაბვამდე.

3.4. რეაქტორ-ტირისტორული ბლოკები

რეაქტორ-ტირისტორული ბლოკები წარმოადგენენ კომბინაციას არამართვადი რეაქტორისა და წრფივი მახასიათებლებით და ტირისტორებით, მართვადი სპეციალური კანონით. ბუნებრივია, რომ ოროვე ელემენტი, მაგროვებლის და რეგულირების უნდა იქნეს გათვალისწინებული ბლოკის ნომინალურ დენზე და ძაბვაზე.

მართვად რეაქტორში გამოიყენება მაგნიტური მაძლიერებლის ეფექტი, ამიტომ მარეგულირებელი რგოლის სიმძლავრე (მუდმივი დენის წყარო) მიიღება ორი-სამი რიგით ნაკლები, ვიდრე რეაქტორის ნომინალური სიმძლავრე.

რეაქტორ-ტირისტორული ბლოკში გათვალისწინებულია შუალედური ტრანსფორმირება ხაზის ძაბვასთან, რადგან ეკონომიკური მოსაზრებით ტირისტორები ხელსაყრელია დაიდგას საშუალო ძაბვაზე 35 კვ-მდე.

პრინციპში ტირისტორები შეიძლება გამოიყენოთ როგორც გასაღები რეაქტორების სიმძლავრის საფეხუროვანი რეგულირებისათვის. ტირისტორების საშუალებით კომუტაცია შეიძლება

განვახორციელოდ გარდამავალი პროცესის გარეშე რეაქტორის
საკომუტაციო წრედში.

დიდი სიმძლავრის ბლოკებში ხორციელდება მდოვრე რეგულირება
რეაქტიული სიმძლავრის ტიროსტორების გაღების კუთხის ცვლილებით,
ე.ო. დენის გატარების ხანგრძლივობა განსახილველ პერიოდში. ამ
დროს აღიძვრება მაღალი რიგის ჰარმონიკები, რომლებიც აღწევს 5%
და მეტს. რეაქტორ-ტირისტორული ბლოკი შეიძლება ჩაირთოს
მუშაობაში მხოლოდ მაღალი რიგის ჰარმონიკების ფილტრთან
ერთობლივად.

რეაქტორ-ტირისტორული ბლოკი სიმძლავრის რეგულირება
ხორციელდება სწრაფად, მუშა სიხშირის ერთი-ორი პერიოდში.

3.5. კონდენსატორულ-ტირისტორული ბლოკები

რეაქტორ-ტირისტორული ბლოკებისაგან განსხვავებით
კონდენსატორულ-ტირისტორული ბლოკებში ტირისტორები გამოიყენება
გასაღების რეჟიმში და ახორციელებენ კონდენსატორების სიმძლავრის
საფეხუროვან ცვლილებას. ბლოკებში არ აქვს ადგილი მაღალი რიგის
ჰარმონიკების გენერაციას.

პარალელურად შეერთებული არამართვადი რეაქტორის
კონდენსატორულ-ტირისტორული ბლოკთან წარმოადგენს სტატიკურ
კომპენსატორს კარგი ტექნიკური მახასიათებლებით: ფაზური
რეგულირების შესაძლებლობა; ძირითადი სიხშირეზე რეჟიმის
მდგრადობა; მაღალი რიგის ჰარმონიკების არ არსებობა; სწრაფქმედება.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ცვლადი დენის გადაცემის განივი კომპენსაციისათვის, სადაც არაა აუცილებელი ფაზური რეგულირება, შეიძლება შეიქმნას უფრო იაფი და მეტად საიმედო სტატიკური კომპენსატორი კომბინაციის გზით არარეგულირებადი კონდენსატორთა ბატარეებით და მბრუნავი მაგნიტური ველით მართვადი რეაქტორებით.

კონდენსატორულ-ტირისტორულ ბლოკს უწყვეტი (ფაზური) რეგულირებით, უწოდებენ აგრეთვე რეაქტიული სიმძლავრის წყაროს (რს $\ddot{\nu}$).

3.6. სინქრონული კომპენსატორები

როგორც ცნობილია, კომპენსატორის ნომინალური სიმძლავრე ნაჩვენებია რეაქტიული სიმძლავრის გენერაციის რეჟიმისათვის. მოთხოვნის რეჟიმში ის მცირდება 0,7-0,8 ნომინალურამდე. სიმძლავრის დანაკარგები კომპენსატორში შეადგენს დაახლოებით 1% ნომინალურის, თანაც დანაკარგების მესამე ნაწილი არაა დამოკიდებული სტატორში დენის სიდიდეზე.

მირითადი უპირატესობა სინქრონული კომპენსატორის, როგორც საშუალება განივი კომპენსაციის, წარმოადგენს მდოვრე რეგულირება და გამოსადეგია, როგორც გენერაციისათვის, ისე მომხმარებლისათვის რეაქტიული სიმძლავრის, აგრეთვე შედარებით დაბალი ღირებულება.

სინქრონული კომპენსატორის ნაკლოვანებას წარმოადგენს მისი მბრუნავი ნაწილი, რომელიც საჭიროებს მუდმივ კონტროლს. არა

ნაკლებ წელიწადში ერთხელ სინქრონული კომპენსატორი გამოირთვება კონტროლისა და რემონტისათვის.

სინქრონული კომპენსატორს გააჩნია დიდი შიდა წინადობა და დიდი დროის მუდმივა აგზების წრედს, და ამიტომ უნდა იყოს აღჭურვილი ძლიერი მოქმედების ავტომატური რეგულატორით, რომლის სტრუქტურული სქემა მნიშვნელოვნად რთულია, ვიდრე, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა გვაქვს მართვადი რეაქტორი მბრუნავი მაგნიტური ველით.

კომპენსატორის მომჭერებზე ძაბვის სტაბილიზაციისათვის მისი აგზების სისტემა უნდა იყოს გათვლილი 10-15 ჯერადზე ძაბვის ფორსირების, რაც მნიშვნელოვნად ამაღლებს კომპენსატორის ღირებულებას და ართულებს მის კონსტრუქციას.

კომპენსატორის შიდა წინადობის გავლენა შეიძლება შემცირდეს კონდენსატორების ჩართვით სტატორის გრაგნილების წრედში. მეორე მხრივ ამ დროს იქმნება პირობა, თვითაგზნების აღმვრის და მანქანის თვითგაშვების. თვითაგზნება შეიძლება გასწორდეს დამატებითი აგზნების გრაგნილის დახმარებით განივი ღერძში, რომელიც იკვებება ცალკე აგზნებით. სიმძლავრე დამატებითი გრაგნილის 7-10% შეადგენს ძირითადი აგზნების გრაგნილის სიმძლავრის ნორმალურ რეჟიმში.

ბოლოს, შეიძლება აღინიშნოს, რომ სინქრონული კომპენსატორი ახდენს მცირე გავლენას გადაცემაში შიდა გადამეტძაბვების მნიშვნელობაზე. მათი შეზღუდვისათვის აუცილებელია მაშუნტებელი რეაქტორი წრფივი, ან უკეთესია არაწრფივი მახასიათებლით.

3.7. განივი კომპენსაციისათვის სხვადასხვა სახის

მოწყობილობების შეპირისპირება

მართვადი განივი კომპენსაცია შეიძლება რეალიზებული იქნეს სინქრონული კომპენსატორების საშუალებით და სტატიკური კომპენსატორებით არ შეიცავს მბრუნავ ნაწილებს. მუშა ძაბვა კომპენსატორების და სტატიკური მოწყობილობების არ აჭარბებს 35 კვ. მიურთება გადაცემაზე ხორციელდება შუალედური ტრანსფორმატორით. მარეგულირებელი რგოლი მართვადი კომპენსაციის აღმოჩნდა მიზანშეწონილი შესრულებულიყო საშუალო ძაბვაზე.

სინქრონული კომპენსატორები დიდი ხანია გამოიყენება ელექტრულ ქსელებში ძაბვის დაჭერისათვის ნორმალურ რეჟიმებში და ქსელებში ელექტრული ენერგიის დანაკარგების შემცირებისათვის. ასეთი კომპენსატორების გამოყენება ცვლადი დენის გადაცემის გამტარუნარიანობის ამაღლებისათვის როლდება. ეს ნაკლოვანებები განპირობებულია კომპენსატორის მოქმედების პრინციპიდან გამომდინარე.

ტექნიკურ ლიტერატურაში ნათლად იკვეთება ტენდენცია სინქრონული კომპენსატორებზე უარის თქმის და მათი შეცვლით სტატიკური კომპენსატორებით.

ნებისმიერი სტატიკური კომპენსატორი შეიცავს მაგროვებულ ელემენტებს (ინდუქციურობას, ტევადობას) და მარეგულირებელ ელემენტს. მარეგულირებელ ელემენტს წარმოადგენს ტირისტორი.

კომპენსატორი მართვადი რეაქტორის საფუძველზე რეგულირდება მაგნიტური მაძლიერებლის ეფექტის გამოყენებით, რომლის კოეფიციენტი დიდი სიმძლავრის რეაქტორში იცვლება 300-დან 500-მდე. ეს ნიშნავს, რომ ტირისტორული დანადგარის სიმძლავრე, რომელიც კვებავს მართვის წრედს, შეადგენს 1-2% რეაქტორის ნომინალური სიმძლავრის.

სხვადასხვა ტიპის სტატიკური კომპენსატორები შეიძლება შესრულებული იქნეს სწრაფმომქმედი, ეკვივალენტური დროის მუდმივათი 0,05-0,1 წმ, როგორც ეს მოეთხოვება სტატიკური მდგრადობის პირობის მიხედვით გამტარუნარიანობის ამაღლებისათვის. უზრუნველყოფილია აგრეთვე აუცილებელი ზღვრები რეაქტიული სიმძლავრის რეგულირების და ძაბვის სტაბილიზაციის სიზუსტე.

გაჯერებული და მართვადი რეაქტორები, აგრეთვე რეაქტორული-ტირისტორული ბლოკები ეფექტურად ზღუდავენ შიდა გადამეტაბეს. ამაში მდგომარეობს მათი მნიშვნელოვანი უპირატესობა სინქრონული კომპენსატორებთან შედარებით.

თავი IV. საქართველოს ენერგეტიკულ სისტემაში ელექტროენერგიის დანაკარგების შემცირების რეგომენდაციების შემუშავება

4.1. ზოგადი მონაცემები

მომხმარებლების ნომინალური მუშაობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია როგორც აქტიური, ისე რეაქტიული სიმძლავრე. რეაქტიული სიმძლავრე იხარჯება მაგნიტური ველის შექმნისათვის და არ მოითხოვს საწვავის ხარჯს. თუმცა მისი გადაცემა ხაზით დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან აქტიური სიმძლავრის ქსელის ელემენტებში. აღნიშნულ ელემენტებში იხარჯება რეაქტიული სიმძლავრე, რაც მოითხოვს მისი გენერაციის გაზრდას. ამიტომ რეაქტიული სიმძლავრის მოთხოვნის შემცირებას მივყავართ აქტიური სიმძლავრის ეკონომიასთან, სიმძლავრის დანაკარგების შემცირებასთან.

ქსელის რაციონალური დაგეგმარების ამოცანა (არჩევა კონფიგურაციის, კვეთის, ტრანსფორმატორების სიმძლავრეები და სხვა) და ქსელის განვითარების ოპტიმიზაცია მდგომარეობს შენარჩუნებული იქნეს თანაფარდობა ქსელის დირექტულებასა და სიმძლავრის დანაკარგებს შორის, ე.ი. უზრუნველყოფაში დაყვანილი დანახარჯების მინიმუმის. მეორე მხრივ შესაძლებელია ღონისძიებების ჩატარება სიმძლავრის დანაკარგების შემცირებისათვის, რომელიც არ მოითხოვს დიდ დანახარჯებს; დაყენება სპეციალური პირველადი (ვოლტსამატი ტრანსფორმატორების, მაკომპენსირებელი მოწყობილობების და სხვა) და მეორადი (ავტომატიკის და სარელეო დაცვის) მოწყობილობა.

ცხრილი 4.1-ში ნაჩვენებია სიმძლავრის დანაკარგების ძირითადი სახეები ქსელის სხვადასხვა პირობითი ჯგუფებისათვის. თავის მხრივ დანაკარგები იყოფა: ტექნიკური, ორგანიზაციული და კომერციული.

ტექნიკური - ითვალისწინებს ქსელის რეკონსტრუქციას და შეცვლას ან დაყენებას დამატებითი მოწყობილობების. მათ მიეკუთვნება:

- მაკომპენსირებელი მოწყობილობის დაყენება;
- სადენების შეცვლა სადენებით დიდი ან ნაკლები კვეთებით;
- გადატვირთული და დაუტვირთავი ტრანსფორმატორების შეცვლა;
- მარეგულირებელი მოწყობილობის დადგმა;
- ტრანსფორმაციის კოეფიციენტის ავტომატური რეგულირება;
- კონდენსატორთა ბატარეების სიმძლავრის ავტომატური რეგულირება;
- სიმძლავრის ნაკადების რეგულირების მოწყობილობის დაყენება მაღალი და ზემაღალი ძაბვის არაერთგვაროვანი შეკრულ ქსელებში;
- ქსელების გადაყვანა უფრო მაღალი ნომინალური ძაბვაზე;
- ობიექტების კაპიტალური მშენებლობის შემდეგ ქსელების კონფიგურაციის და ოპტიმალური სქემების შექმნა;
- დანერგვა თანამედროვე რელეური დაცვის, ავტომატიკის, ტელემეტრიკის და გაზომვის მოწყობილობების.

ორგანიზაციული - ითვალისწინებს მომსახურების გაუმჯობესებას, ქსელების სქემების და მათი მუშაობის რეჟიმების ოპტიმიზაციას.

მათ მიეკუთვნება:

- რეაქტიული სიმძლავრის მიხედვით ქსელების დამყარებული რეჟიმების ოპტიმიზაცია;
- 10-35 კვ. ძაბვის ქსელის გაყოფის ოპტიმიზაცია;
- სისტემაში რეაქტიული სიმძლავრის დეფიციტის დროს სისტემის გენერატორების გადაყვანა სინქრონული კომპენსატორების რეჟიმში;
- რადიალური ქსელების კვების ცენტრში მუშა ძაბვების ოპტიმიზაცია;
- მცირე დატვირთვის რეჟიმებში ტრანსფორმატორების გამორთვა;
- ქსელებში ფაზების დატვირთვის გათანაბრება;
- მომსახურების და რემონტების ხარისხის გაუმჯობესება და ხანგრძლივობის შემცირება;
- დანაკარგების შემცირების ახალი მეთოდების გამოკვლევა და დამუშავება.

კომერციული - ითვალისწინებს მომსახურების გაუმჯობესებას.

მათ მიეკუთვნება:

- მრიცხველების დაყენება;
- ბრძოლა დატაცებასთან;
- აღრიცხვიანობის სისტემის გაუმჯობესება.

სიმძლავრის დანაკარგების შემცირების დონისძიება ხორციელდება

როგორც დაგეგმარების ისე ექსპლუატაციის პროცესში.

საექსპლოატაციო დონისძიებას ატარებენ მუდმივად რეჟიმების

ოპტიმიზაციით.

ცხრილი 4.1. სიმძლავრის და ენერგიის დანაკარგების სახეები

ენერგოსისტემის ქსელების ჯგუფები	დანაკარგების ძირითადი სახეები
<p>ზემაღალი ქსელი (330-750 კვ) და მაღალი (110-330 კვ) ძაბვის 110-750 კვ (გრძელი ელექტროგადაცემა; სისტემათაშორისი კავშირი; სის- ტემადწარმოქმნილი ქსელი 110-500 კვ)</p>	<p>უქმი სვლა: (დატვირთვაზე არა დამოკიდებული) - გვირგვინზე - ტრანსფორმატორები ფოლადში - მაკომპენსირებელი მოწყობილობის პარალელურ წრედებში</p> <p>დატვირთვის: (დამოკიდებული დატვირთვაზე)</p>
<p>განმანაწილებელი ქსელი საშუალო ძაბვების 10-35 კვ.</p>	<p>- ხაზებში - ტრანსფორმატორების გრაგნილებში - მაკომპენსირებელი მოწყობილობის მიმდევრობით წრედებში</p> <p>დატვირთვის: - ხაზებში - ტრანსფორმატორების გრაგნილებში</p> <p>უქმი სვლა: ტრანსფორმატორების გრაგნილებში</p> <p>დატვირთვის:</p>
<p>განმანაწილებელი ქსელი დაბალი ძაბვის 1000 კ-მდე</p>	<p>- ხაზებში - გამოწვეული ფაზის არასიმეტრიული დატვირთვით</p>

ქსელში დატვირთვის გაზრდით დანაკარგები იზრდება და
თანაფარდობა ქსელის ღირებულებასა და დანაკარგებს შორის
გადაიხრება ნომინალურისაგან, მომხმარებლების ქსელში აქტიური და
რეაქტიული დატვირთვის ცვლილება დაკავშირებულია აქტიური და
რეაქტიული სიმძლავრეების გადადინების ცვლილებასთან
ენერგოსისტემაში შესაბამისი ცვლილებით მასში დანაკარგების. ამიტომ

დანაკარგების დონე აუცილებელია მუდმივად გაკონტროლოთ, რადგანაც ისინი ახასიათებენ მთელი ქსელის მუშაობის ეკონომიურობას.

4.2. ელექტროგადაცემის არსებული და პერსპექტიული სისტემები

დღემდე დაახლოებით 95% ელექტროენერგიის გადაეცემა საჰაერო ხაზებით. ეს განპირობებულია მთელი რიგი არსებითი უპირატესობით, რომლებითაც ხასიათდება საჰაერო ხაზები:

- ნაკლები დანახარჯები მშენებლობაზე. ღირებულება ერთი საჰაერო ხაზის შეადგენს 1/9-1/26-ის მიწისქვეშა კაბელის ღირებულების იგივე გამტარუნარიანობით [11];
- დაზიანების სწრაფი აღმოფხვრა;
- დაბალი დიელექტრიკული დანაკარგები, ვინაიდან იზოლაციად გამოყენებულია ჰაერი;
- შესაძლებლობა უზრუნველყოფის მაღალი ძაბვის ხარჯზე დიდი გამტარუნარიანობის მიღწევა.

გრძელი საჰაერო ხაზისთვის გამტარუნარიანობა განისაზღვრება ნატურალური სიმძლავრით, ხოლო მოკლე საჰაერო ხაზისთვის გახურების სიმძლავრით. ნატურალური სიმძლავრე განისაზღვრება ძაბვით

$$P_{\text{ნატ.}} = \frac{U^2}{Z_{\text{ნატ.}}},$$

სადაც U -გადაცემის ძაბვა; $Z_{\text{ტალღ.}}$ - საპაერო ხაზის ტალღური წინაღობა. ტალღური წინაღობა მძლავრი საპაერო ხაზისთვის შეადგენს 200-400 ომს.

ამგვარად, საპაერო ხაზის გამტარუნაროანობა შეიძლება გაიზარდოს ორი მეთოდით. პირველი, შეიძლება გავზარდოთ ძაბვა 1000-1500 კვ. ამ მიმართულებით მიმდინარეობს წარმატებითი კვლევები.

მეორე, შეიძლება გავზარდოთ სიმძლავრე, გაცხელების მიხედვით, რომელიც 3-7 ჯერ აჭარბებს ნატურალურ სიმძლავრეს. ამის მიღწევა შეიძლება სადენების ზომების გაზრდით და წრედების რიცხვის გაზრდით ერთ საყრდენზე.

ამჟამად მიწისქვეშა საკაბელო წრედი, მაღალი სიმძლავრის შეადგენს 4-5% ყველა მძლავრი ხაზის სიგრძის. ამის მიზეზი დაგაგშირებულია კაბელის მაღალი ლირებულებით და მისი მონტაჟის სირთულეზე, რომელიც 10-20 ჯერ მეტია მისი ლირებულება, შესაბამისი საპაერო ხაზის ლირებულებასთან.

როგორც არნიშნული იყო დდესდღეობით ელექტროენერგია ძირითად გადაიცემა საპაერო გადამცემი ხაზებით და მხოლოდ მისი მცირე ნაწილოი გადაიცემა უშუალოდ მიწისქვეშა კაბელებით. ძირითად ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს შედარებით საპაერო გადამცემი ხაზების არამაღალი ლირებულება.

მეორე მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ მომავალში ეტაპობრივად გაიზრდება ელექტროგადაცემა მიწისქვეშა კაბელით, განსაკუთრებით დიდი ქალაქების რაიონებში, სადაც ასეთი მიწისქვეშა კაბელები მისაღებია.

ინტერნეტის ბოლო მონაცემებით აშშ-ში მიმდინარეობს მშენებლობა მსოფლიოში პირველი ელექტროგადამცემი ხაზის - მაღალტემპერატურული ზეგამტარული კაბელის. 600 მეტრი სიგრძის ხაზი აწყობილია ზეგამტარებისაგან სიგრძით 100 მეტრი მონაკვეთებისაგან და გათვლილია 140ა დენის ძალაზე და 138 კვ. მაბგაზე. დენგამტარი ზეგამტარი წარმოდგენილია კომპოზიციური მასალის ზოლებისაგან (იტრიუმი-ბარიუმი-სპილენდი) სისქით 0,2 მმ და სიგანით 4 მმ. მთელი კონსტრუქცია კაბელის ცივდება თხევადი აზოტით - 196°C ტემპერატურამდე. შედარებისთვის კაბელი სპილენდის ძარღვებით, გათვლილი გადაცემაზე ასეთი ელექტრული სიმძლავრით, უნდა იყოს ასჯერ მეტი კვეთის.

4.3. ახალი თაობის ენერგეტიკული დანიშნულების ზეგამტარული ტრანსფორმატორი მაღალი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით

ზეგამტარული გრაგნილების გამოყენება ძალოვან ტრანსფორმატორებში გავლენას ახდენს, როგორც ელექტრომაგნიტურ პროცესებზე, რომლებიც მიმდინარეობს მასში, ასევე მის კონსტრუქციულ შესრულებაზე, აუმჯობესებს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს და აფართოებს მისი პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობას.

ზეგამტარული ტრანსფორმატორის (ზგტ) გრაგნილები შეიძლება შესრულებული იქნეს, როგორც დაბალტემპერატურულ 4,2 კ

ზეგამტარების (დგზგ), ასევე მაღალტემპერატურულ 77 კ ზეგამტარების (მგზგ) გამოყენების საფუძველზე.

ზეგამტარული სადენების (ზგს) გამოყენების ძირითად უპირატესობას წარმოადგენს მასში დენის სიმკვრივის გაზრდის შესაძლებლობა ორი-სამი რიგით, შედარებით ჩვეულებრივ (სპილენბი, ალუმინი) სადენების დენის სიმკვრივესთან. არსებითი განსხვავება ზგს-ა და ჩვეულებრივ სადენებს შორის წარმოადგენს ის, რომ ზგს-ში დანაკარგების და დენის სიმკვრივის დასაშვები სიდიდეები მთლიანობაში დამოკიდებულია მაგნიტური ველის ინტენსივობაზე, როცა ჩვეულებრივ სადენებში ასეთი დამოკიდებულებას ადგილი არა აქვს. ამასთან დაკავშირებით ანგარიშის მეთოდები და ოპტიმიზაციის ამოცანები ჩვეულებრივ სადენებში დენის სიმკვრივე j სადენის მთლიან კვეთში რჩება მუდმივი და ოპტიმიზაციის ამოცანა დადის სადენში ჯოულის ელექტრული დანაკარგების მინიმალურ მიღებასთან. დენი წრიული კვეთის d დიამეტრის ჩვეულებრივ სადენში არ არის დამოკიდებული მაგნიტურ ველზე

$$i = \frac{\pi}{4} j d^2 \quad (4.1)$$

სადენის კვეთის მიხედვით დენის სიმკვრივე $j = const$ და დენი სადენის დიამეტრის კვადრატის პროპორციულია.

ზგტ-ის ძალოვანი გრაფნილების ზგს-ში ოპტიმიზაციის ამოცანა ფართოა და მდგომარეობს შემდეგში:

1. სადენის ზეგამტარულ დენგამტარის ძარღვებში პისტერეზისული და გრიგალური დანაკარგების შემცირება და ასევე ზგს-ის

მასტაბილიზებელი მეტალში ელექტრული და გრიგალური დანაკარგების შემცირება.

2. ზგს-ის დენგამტარუნარიანობის ამაღლება და სადენის ხარჯის შემცირება.

3. ზგს-ის და ტრანსფორმატორის ზეგამტარული გრაგნილების ინდუქციურობის და ინდუქციური წინაღობის შემცირება. ზგტ-ის მოკლე შერთვის ძაბვის $U_K\%$ შემცირება.

4. ზგს-ის საიმედოობის ამაღლება მისი სტაბილიზაციის საფუძველზე.

ზგს-ში დენების სიმკვრივე არ რჩება მუდმივი ზგს-ის კვეთის მიხედვით და დამოკიდებულია ველის მაგნიტური ინდუქციის მნიშვნელობაზე განსახილველ წერტილში და ზგს-ის ზედაპირზე მაგნიტური ველი შეიძლება შეიქმნას არა მხოლოდ თვით ზგს-ის დენით, არამედ სხვა დენებით, ახლოს განლაგებული ზგს-ით. ჯამური მაგნიტური ველის ინტენსივობის გაზრდით, დენის სიმკვრივე და დენგამტარუნარიანობა მკვეთრად მცირდება და დანაკარგები ზგს-ში იზრდება. მაქსიმალური დენგამტარუნარიანობა მინიმალური დანაკარგების შემთხვევაში მიიღწება, როცა სრულად გამორიცხულია გარე მაგნიტური ველები, როცა ზგს იმყოფება საკუთარ მაგნიტურ ველში, შექმნილი თვით ზგს-ის დენით. ამ შემთხვევაში დენგამტარუნარიანობა და დანაკარგები ზგს-ში დამოკიდებულია მხოლოდ სადენის საკუთარ პარამეტრებზე. ასეთ სადენებს შემდგომში ვუწოდებთ ზგს ლოკალიზებულ მაგნიტური ველით (ზგსლ). ზგსლ ოპტიმალურ ფორმად ითვლება სადენის

ცილინდრული ფორმა. მაგნიტური ველი ასეთ ზეს-ში შეიღწევა სადენის ზედაპირიდან, რომელიც განსაზღვრულია შედწევადობის სიღრმით λ და, როცა λ ტოლია ზესლის რადიუსის r_0 , ასეთი ზეს სრულად შევსებულია დენიო. აღნიშნული დენის სიდიდე მიღებულია კრიტიკული დენის მნიშვნელობად

$$i_s = \frac{\pi}{\mu_0} B_s d, \quad (4.2)$$

სადაც d -ზესლის დიამეტრია; $\mu_0 = 4\pi \cdot 10^{-7}$ გნ/ა.

კრიტიკული დენი შეესაბამება ველის მაგნიტური ინდუქციის კრიტიკულ მნიშვნელობას ზეს-ის ზედაპირზე.

$$B_0 = B_s$$

დენის სიმკვრივე j_s შემთხვევაში, აგრეთვე აღწევს თავის კრიტიკულ მნიშვნელობას

$$j_s = \frac{i_s}{S_b} = 4 \frac{B_s}{\mu_0 d}, \quad (4.3)$$

სადაც S_b -სადენის კვეთის ფართია.

(4.2) ფორმულიდან ჩანს, რომ ზეს-ის დენგამტარუნარიანობა იზრდება მისი d დიამეტრის პროპორციულად და არა დიამეტრის კვადრატისა d^2 , რასაც ადგილი აქვს ჩვეულებრივ სადენებში (4.1) ფორმულა. გარდა ამისა, ზეს-ის დენგამტარუნარიანობა განისაზღვრება ველის მაგნიტური ინდუქციის კრიტიკული მნიშვნელობით სადენის ზედაპირზე. ეს გარემოება დაკავშირებულია იმასთან, რომ, როგორც (4.3) ფორმულიდან ჩანს, ზეს-ის d დიამეტრის გაზრდით კრიტიკული დენის სიმკვრივე მცირდება. შესაბამისად, ზეს-ის დიამეტრის შემცირება იწვევს კრიტიკული დენის სიმკვრივე მცირდება. შესაბამისად, ზეს-ის დიამეტრის შემცირება იწვევს კრიტიკული დენის სიმკვრივის და სადენის

დენგამტარუნარიანობის გაზრდას. ზგს-ის დიამეტრის შემცირებით მიიღწევა, აგრეთვე მნიშვნელოვანი შემცირება პისტერეზისული და გრიგალური დანაკარგების სადენში. აღნიშნულთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია დიდი დიამეტრის ერთძარღვიანი ზგს-ის ნაცვლად გამოყენებული იქნეს, მრავალძარღვიანი ზეგამტარული სადენები ლოკალიზებული მაგნიტური გელით (მძგსლ), რომელშიც ზეგამტარული ძარღვის დიამეტრის d_d , შედარებით სადენის დიამეტრთან შეადგენს უმნიშვნელო სიდიდეს. ლოკალიზებულობა მაგნიტური გელის მრავალძარღვიანი ზეგამტარული სადენის $d_d << d_b$, მიიღწევა ზეგამტარულ ძარღვებს შორის მანძილის გაზრდის ხარჯზე, ე.ო. ზგს-ის შევსების კოეფიციენტის შემცირებით, გარკვეულ ოპტიმალურ სიდიდემდე, რომლის დროსაც ურთიერთ მაგნიტური გავლენა ზეგამტარულ ძარღვებს შორის პრაქტიკულად გამორიცხულია. მძგსლის საფუძველზე მიზანშეწონილია შესრულება ტრანსფორმატორების ძალოვანი გრაგნილების, როცა გარდა დენგამტარუნარიანობისა და მქაბ-ის გაზრდისა, დგას ამოცანა გარე მაგნიტური გელების და ძალოვანი გრაგნილების რეაქტიული წინაღობების შემცირების.

მძგს-ში დენგამტარუნარიანობის გაზრდა და მატრიცაში გრიგალური დენებისაგან გამოწვეული დანაკარგების შემცირება მიიღწევა დაგრეხილი სადენების ხარჯზე.

ზგს-ის საიმედოობის ამაღლებისათვის, როცა გამოვლინდება მასში გრაგნილის ნორმალური ფაზა, აუცილებელია ზეგამტარული სადენების სტაბილიზაციის გამოყენება, რათა აღიკვეთოს ნორმალური ფაზის

გავრცელება. ზეგამტარული ძარღვის პევთსა და სტაბილიზაციის მეტალს შორის თანაფარდობის ცვალებადობით, შეიძლება შევცვალოთ სტაბილიზაციის ხარისხი და ურთიერთგავლენის ხარისხი ზეგამტარულ ძარღვებს შორის. მძზგს-ის შევსების კოეფიციენტი

$$K_{\vartheta} = \frac{S_{\text{ხგ}}}{S_{\text{ხრ}}},$$

სადაც $S_{\text{ხგ}}\text{-ზეგამტარული ძარღვების კვეთი,}$

$S_{\text{ხრ}}\text{-ზეგამტარული სადენის სრული კვეთი.}$

მძზგს-ის K_{ϑ} შეადგენს 0,3-0,6: მძზგსლ-ის კი $K_{\vartheta} \ll 1$.

ენერგეტიკული დანიშნულების ზგტ-ის შექმნისათვის აუცილებელია გამოყენებული იქნეს ზგს მაღალი გამტარუნარიანობით. აღნიშნული მიზნის მიღწევისათვის გამოიყენება მძზგსლ, რომელშიც ურთიერთზემოქმედება ცალკეული ზეგამტარული ძარღვების მაგნიტური გელების დაყვანილია მინიმუმამდე. გრაგნილის სადენების ასეთი შესრულებით განისაზღვრება გამტარუნარიანობა.

მსოფლიოში პირველი ერთფაზა ზგტ სიმძლავრით 15 კვა, ძაბვით 22/2,23 იყო დამზადებული და გამოცდილი აშშ-ში 1961 წელს [12]. მისი გრაგნილები იყო დამზადებული ტყვიის სადენისაგან.

1963 წელს საფრანგეთში იყო დამზადებული და გამოცდილი ზგტ სიმძლავრით 2,75 კვა [13]. მისი გრაგნილები იყო დამზადებული $Nb - 15\%Zr$ შენადნობისაგან. გრაგნილებში დენის სიმკვრივე შეადგენდა $2 \times 10^4 \text{ А/см}^2$ ტრანსფორმატორის მაქსიმალური სიმძლავრის დროს, მ.ქ.კ. -99,3%, როცა მეორად გრაგნილში დენი შეადგენდა 15 ა-ს.

1967 წელს საფრანგეთში იყო დამზადებული და გამოცდილი მეორე მოდელი ზგტ-ის სიმძლავრით 6,6 კვა [14]. აღნიშნული მოდელი

წინა მოდელთან განსხვავებით იყო დამზადებული უფრო მტკიცე და საშუალებას იძლეოდა ჩატარებულიყო გამოცდა ხანგრძლივი დროით მოკლე შერთვის, უქმი სვლისა და დატვირთვის რეჟიმებში. შედეგად შესწავლილი იქნა ზგტ-თან დაკავშირებული პრობლემა. ზგტ-ის პირველადი და მეორადი ძაბვები შესაბამისად შეადგენდა 220/440 ვ. ტრანსფორმატორს გააჩნდა ორი იდენტური დაბალი ძაბვის (220 ვ) გრაგნილი, რომლებიც ტრანსფორმატორის გარეთ გამომყვანებზე, ერთმანეთთან შეერთებული იყო მიმდევრობით 440 ვ ძაბვაზე ან პარალელურად 220 ვ ძაბვაზე, რაც საშუალებას იძლეოდა ზგტ-ის გამოცდისა მათი შეერთების სხვადასხვა სქემების დროს. გრაგნილების შესრულებისათვის გამოყენებული იყო ზგს $Nb - 25\%Z_r$ დიამეტრით 0,254 მმ. ზგტ-ის მაქსიმალური სიმძლავრე იყო მიღწეული 6,6 კვა, ორი დაბალი ძაბვის გრაგნილებში ერთი და იგივე სიდიდის დენებით 15ა, შეერთებული პარალელურად. ზგტ-ის მაქსიმალური მ.ქ.კ. შეადგენდა 99,53%, მაღალი ძაბვის გრაგნილში 5ა დენის დროს და 99,83%, 15 ა დენის დროს, ხოლო სრული მ.ქ.კ. ანგარიშის მიხედვით, გაცივებაზე დახარჯული სიმძლავრის გათვალისწინებით შეადგინა 96%.

ზგტ-ის დამუშავება ფერომაგნიტური გულარას გარეშე წარმოდგენილია ავსტრიაში [15,16] ჩატარებული სამუშაოებში. ძალოვანი ზგტ ფერომაგნიტური გულარას გარეშე გამორიცხავს დანაკარგებს გულარაში.

ინგლისური ფირმის Ferranti Ltd მიერ იყო დამუშავებული და გამოცდილი ზგტ-ის ნიმუში სიმძლავრით 250 კვა [17].


ფირმამ Westinghouse (აშშ) დაამუშავა პროექტი სამფაზა ძალოვანი ზგტ-ის სიმძლავრით 1000 მვა, ძაბვებით 22/500 კვ, მოკლე შერთვის ძაბვით $U_K = 12\%$, ზეგამტარული გრაგნილები შესრულებულია $NbTi$ და Nb_3Sn მასალისაგან. ჩატარებული იქნა შედარება ზეთიან ტრანსფორმატორთან, რომელსაც გააჩნია ანალოგიური პარამეტრები [18]. დაბალი და მაღალი ძაბვის თითოეული ზეგამტარული გრაგნილი შედგება პარალელურად შეერთებული ძირითადი და დამხმარე გრაგნილებისაგან. ძირითადი გრაგნილი ატარებს თითქმის სრულ დატვირთვას დამყარებულ რეჟიმში, ხოლო დამხმარე - ავარიულ რეჟიმში.

დაბალი ძაბვის გრაგნილი -ერთფენიანია სადენის კვეთით $0,43 \times 0,32\text{სმ}^2$, ხოლო მაღალი ძაბვის გრაგნილი -ხუთფენიანია სადენის კვეთით $0,15 \times 0,8 \text{ სმ}^2$. კაბელის შევსების კოეფიციენტი $K_d = 1/3$. კაბელის ძარღვის დიამეტრი ნაკლებია 100 მკმ. გრაგნილები მოთავსებულია ტოროიდულ კრიოსტატში. ზეგამტარული გრაგნილების გაცივებისათვის გამოიყენება თხევადი ჰელიუმი, რომელსაც გააჩნია მაღალი ელექტროსაიზოლაციო სიმტკიცე და დაბალი $tg\delta$.

ზგტ-ის მ.ქ.კ. ნომინალური სიმძლავრის 1000 მვა დროს ტოლია 99,85%. ზგტ-ის შედარებამ ზეთიან ტრანსფორმატორთან აჩვენა, რომ საიმედოობის მიხედვით ზგტ შეიძლება შესრულდეს ტოლფასიანი ზეთიანი ტრანსფორმატორის; ამ შემთხვევაში ზგტ-ს გააჩნია ნაკლები მასა, ხოლო ზომები მისი თითქმის იგივეა, როგორც ზეთიანი ტრანსფორმატორის (1000 მვა ზგტ-ის მასა, 500 კვ მაღალი ძაბვით, შეადგენს 64%-ს ზეთიანი ტრანსფორმატორის მასის); ზგტ-ის სრული

ღირებულება მთელი მისი ექსპლუატაციის ვადაში დანაკარგების გათვალისწინებით შეადგენს 71%-ს ზეთიანი ტრანსფორმატორის სრული ღირებულების.

ძალოვანი ზგტ-ის შექმნისა და პრაქტიკული გამოყენების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მისი ზეგამტარული გრაგნილების გადასვლა ნორმალურ გამტარობის ფაზაში, რომელიც წარმოადგენს ზგტ-ის მუშაობის ავარიულ რეჟიმს. აღნიშნული მიმართულებით მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა ზგტ-ის დამუშავების პარალელურად. ნახ. 4.1 ნაჩვენებია ზგტ-ის დაცვის სქემა დენჭემზღვდებილი მოწყობილობის საშუალებით [19]. დენჭემზღვდებილი მოწყობილობა 1 ავარიულ რეჟიმში ზრდის ტრანსფორმატორის 8 გრაგნილების რეაქტიულ წინაღობას და ამცირებს დენს უსაფრთხო დონემდე.



ნახ. 4.1. ზეგამტარული ტრანსფორმატორის გრაგნილების დაცვა დენჭემზღვდებილი მოწყობილობის საშუალებით

ტევადობა შერჩეულია რეზონანსში ინდუქტორ 5-თან. მოკლე შერთვის რეჟიმის აღმვრის დროს რეაქტორი 6, რომელიც მიმდევრობით ჩართულია აქტიური წინადობასთან 7, გაიუდინთება და ამოკლებს ტევადობას, იზრდება ტრანსფორმატორის რეაქტიული წინადობა ინდუქციური წინადობა 5-ის სიდიდით. ინდუქტორი 5-ის შესრულების შემთხვევაში ზგს-ით და რკინის გულარით, შეიძლება გაერთიანდეს ზგტ-ის მეორად გრაგნილთან და მოთავსდეს ზგტ-თან ერთად ერთ კრიოსტატში.

რუსეთის ფედერაციაში ზგს ამზადებენ სხვადასხვა ზეგამტარული მოწყობილობებისათვის, მათ შორის ზგტ-ისთვის НПО ВНИИКП [20] და ВНИИНМ [21]. ამჟამად ВНИИНМ აწარმოებს:

- მრავალმარდვიან სადენებს $NbTi$ და Nb_3Sn ბაზაზე.
- წრიული სადენები სპილენძის მატრიცაში (50-ზე მეტი ტიპიური ზომებით დიამეტრით 0,1-2,0 მმ დიაპაზონში, ბოჭქოთა რიცხვით 6-დან 130000 მდე, სიგრძით 30 კმ-მდე);
- სადენები მართკუთხა კვეთით (7 დან 28 მმ²-მდე) კრიტიკული დენებით 18000 ა-მდე, მაგნიტურ კლდში 5 ტლ.

თანამედროვე სამამულო და უცხოურ ლიტერატურაში გამოქვეყნებულ სამეცნიერო-ტექნიკური მასალების ანალიზის შედეგად ჩანს, რომ ბოლო პერიოდში დტზგ 4,2 კ ტრანსფორმატორების პროექტების დამუშავება მცირდება. ეს დაკავშირებულია მტზგ 77 კ მოვლენის აღმოჩნასთან და მის საფუძველზე სადენების დამზადებასთან. ტრანსფორმატორის დტზგ ძალოვანი გრაგნილების გაცივებისათვის გამოიყენება თხევადი ჰელიუმი 4,2 კ, რაც

დაგავშირებულია მაღალი ენერგოდანახარჯებთან. მტზგ 77 კ ძალოვანი გრაგნილების გაცივებისათვის გამოიყენება თხევადი აზოტი 77 კ, რომელსაც გააჩნია გაცილებით დაბალი ენერგოდანახარჯები. ადნიშნულმა გარემოებამ მისცა უდიდესი ბიძგი არა მხოლოდ ძალოვანი ზგტ-ის განვითარებას, არამედ კველა ზეგამტარულ ელექტრომოწყობილობებს [22]. დიელექტრიკული თვისებები თხევადი აზოტოს უკეთესია, ვიდრე თხევადი ჰელიუმის.

ბოლო დროს მიღწეულია დიდი წარმატება მტზგ სადენების დამუშავებაში და დამზადებაში ძალოვანი ელექტრომოწყობილობებისათვის. ისინი ხასიათდებიან მაღალი კრიტიკული დენებით და დაბალი თვითდირებულებით, რაც აჩქარებს მის პრაქტიკულ გამოყენებას ზგტ-ებში.

Foamed Alcated Cables and Components გამოუშვა
მაღალტემპერატურული სადენი ვისმუტის საფუძველზე, 1 კმ-ის სიგრძის, რომლის ბაზაზე, შეიძლება დამზადდეს ძალოვანი გრაგნილები ტრანსფორმატორისათვის. სადენის დენის კრიტიკული სიმკვრივე აჭარბებს 2×10^4 ა/ნმ² თხევადი აზოტის ტემპერატურის 77 კ დროს. ადნიშნული ფირმის საწარმოო სიმძლავრე საშუალებას იძლევა ყოველწლიურად დამზადოს ასეთი სადენი 150 კმ სიგრძის [23].

რუსეთის ფედერაციაში ამჟამად მაღალტემპერატურული სადენებისა და მის საფუძველზე კაბელების დამზადებაზე მუშაობს ВНИИНМ (მოსკოვი. მის ნაწარმს წარმოადგენს [24] მაღალტემპერატურული სადენები იტრიუმის და ვისმუტის კერამიკული შენაერთებით.

პირველად მსოფლიოში მაღალტემპერატურული ზეგამტარული ძალოვანი ტრანსფორმაციონის პროექტი სიმძლავრით 100 მვა, ძაბვებით 66/22 კვ იყო განხორციელებული 1988 წელს, მაღალტემპერატურული ზეგამტარობის მოვლენის აღმოჩენიდან 2 წლის შემდეგ [25]. აღნიშნული მიმართულებით ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა.

ზგტ-ი ლოკალიზებული განპნევის მაგნიტური ველით სრულდება ფერომაგნიტური მაგნიტოგამტარით და მის გარეშეც. ზგტ-ებში ფერომაგნიტური მაგნიტოგამტარით განპნევის მაგნიტური ველის ლოკალიზირება მიიღწევა:

- მძჰგ-დან დამზადებული სექციონირებული პირველადი და მეორადი გრაგნილების გამოყენებით. პირველადი გრაგნილი დატვირთულია არა მხოლოდ მუშა დენით, არამედ დამაგნიტების დენითაც, რომელიც ქმნის არაკომპენსირებულ განპნევის მაგნიტურ ველს და აუარესებს ძალოვანი გრაგნილების მუშაობის პირობებს;
- გრაგნილებისათვის მძჰგსლ-ის გამოყენება, აღნიშნულ შემთხვევაში გრაგნილები სრულდება ხვიების მჭიდრო დახვევით. გრაგნილის შევსების კოეფიციენტი ოთქმის 1-ის ტოლია.


ზგტ-ში ფერომაგნიტურ მაგნიტოგამტარის გარეშე, განპნევის მაგნიტური ველის ლოკალიზირების მიღწევა შეუძლებელია, როცა ტრანსფორმაციონის პირველადი ძალოვანი გრაგნილი გამოყენებულია აგზების მაგნიტური ველის შექმნისათვის. ამ შემთხვევაში დამაგნიტების დენი აჭარბებს მუშა დენს, ზგტ-ში წარმოიქმნება

ძლიერი, არაკომპენსირებული დაუშვებელი სიდიდის მაგნიტური გელი. ამასთან დაკავშირებით აღიძვრება აუცილებლობა აგზნების მაგნიტური გელის შექმნისათვის, ცალკე გრაგნილის გამოყენებისა ზგტ-ში [26].

ცალკე	აგზნების	გრაგნილი	სრულდება	აგრეთვე
-------	----------	----------	----------	---------

მაღალტემპერატურული ზეგამტარული სადენისაგან და მისი ოპტიმიზაციის ძირითადი ამოცანა მდგომარეობს, შექმნას აგზნების მაგნიტური გელი ზგტ-ის საჰაერო მაგნიტოგამტარში, გრაგნილებში მინიმალური დანაკარგების და ზეგამტარული მასალების მინიმალური დანახარჯის პირობებში.

ნახ.4.2. ნაჩვენებია ზგტ ცალკე აგზნების გრაგნილით, რომლის პირველადი მხარეს ერთი გრაგნილის ნაცვლად შესრულებულია ორი გრაგნილი „1“ და „ა“, ხოლო მეორე მხარეს შესრულებულია ერთი გრაგნილი „2“. გრაგნილები „1“ და „ა“ იკვებებიან ძაბვებიდან U_1 და U_a , ხოლო „2“ გრაგნილი შეერთებულია დატვირთვის წრედთან U_2 ძაბვით. ასეთი სამგრაგნილა ტრანსფორმატორს ძაბვებით U_1, U_2, U_a შეუძლია იმუშაოს სხვადასხვა ენერგეტიკულ რეჟიმებში.



ნახ. 4.2. ზეგამტარული ტრანსფორმატორი ცალკე აგზნების გრაგნილით
თუ, მაგალითად, „1“ და „2“ გრაგნილებს გააჩნია ერთმანეთის
მიმართ ძლიერი მაგნიტური კავშირი და სუსტი მაგნიტური კავშირი „ა“
გრაგნილთან, მაშინ დენის ნებისმიერი ცვლილება „2“ გრაგნილში
გამოიწვევს შესაბამის დენის ცვლილებას ძირითადად „1“ გრაგნილში
და არა „ა“ გრაგნილში. ამ პირობებში, ელექტრული ენერგია „2“
გრაგნილს და დატვირთვის წრედს მიეწოდება, ძირითადად „1“
გრაგნილიდან. მეორად წრედში დატვირთვის ცვლილება გავლენას არ
მოახდენს „ა“ გრაგნილზე. „ა“ გრაგნილში გაივლის დენი დაახლოებით
ისეთი სიდიდის, როგორც იყო დატვირთვის ცვლილებამდე და „ა“
გრაგნილი მოითხოვს რეაქტიულ სიმძლავრეს. „ა“ გრაგნილის მიერ
მოთხოვნილი რეაქტიული დენი და რეაქტიული სიმძლავრე იქნება
დამოკიდებელი მასზე მოდებული ძაბვის სიდიდეზე U_s . ასეთ
პირობებში, „ა“ გრაგნილი ასრულებს აგზნების როლს, ხოლო „1“ და
„2“-ძალოვანი გრაგნილების როლს. ძალოვანი გრაგნილებიდან
უშუალოდ აგზნების დენის გამორიცხვა იძლევა საშუალებას

ერთმანეთისგან პირველადი და მეორადი გრაგნილების სრული კომპენსაციისა და აღნიშნული გრაგნილების გარშემო ყველა მაგნიტური ნაკადების შემცირებისა, რაც თავის მხრივ იწვევს ზგტ.-ში დანაკარგების შემცირებას, დენგამტარუნარიანობის და სიმძლავრის გაზრდას.

4.4. ენერგეტიკული დანიშნულების ზეგამტარული

ტრანსფორმატორის მათემატიკური მოდელი [28]

ენერგეტიკული დანიშნულების ზეგამტარული ტრანსფორმატორის [27] მათემატიკური მოდელის დამუშავებისათვის და ელექტრომაგნიტური პროცესების ანალიზის ჩატარებისათვის სტაციონარულ და გარდამავალ რეჟიმებში, აუცილებელია ზეგამტარული ტრანსფორმატორის (ზგტ) პარამეტრების განსაზღვრა - მისი აქტიური წინაღობების და ინდუქციურობების.

ზგტ-ის აქტიური წინაღობები დაკავშირებულია თბური დანაკარგების გამოყოფასთან ზეგამტარულ გრაგნილებში, როცა მათში გადის ცვლადი დენი, აგრეთვე მაგნიტოგამტარში (ფერომაგნიტური გულარას არსებობის დროს), ცვლადი მაგნიტური ველის აგზების დროს. ზგტ-ის ინდუქციურობა და ინდუქციური წინაღობა დაკავშირებულია განბნევის არხში განბნევის მაგნიტური ველების წარმოქმნასთან, შექმნილი დატვირთვის დენებით და მაგნიტოგამტარში აგზების ველებით, წარმოქმნილი დამაგნიტების დენებით.

თითოეული ზეგამტარული გრაგნილის აქტიური წინადობა
შედგება სამი მდგენელისაგან:

ΔR – აქტიური წინადობა, დაკავშირებული ზეგამტარულ სადენში
ელექტრულ დანაკარგებთან;

$\Delta R_{\text{ჰო}}.$ - ეკვივალენტური წინადობა, დაკავშირებული ზეგამტარულ
სადენში პისტერიზისულ დანაკარგებთან;

$\Delta R_{\text{გრიგ.}}$ - წინადობა, დაკავშირებული ზეგამტარულ სადენში და
ფუძე-შრეში გრიგალურ დანაკარგებთან.

ამგვარად სრული აქტიური წინადობებისთვის მუშა გრაგნილების
და აგზების გრაგნილისთვის შესაბამისად გვექნება;

$$\left. \begin{aligned} r_1 &= \Delta R_1 + \Delta R_{1\text{ჰო}} + \Delta R_{1\text{გრიგ.}} \\ r_2 &= \Delta R_2 + \Delta R_{2\text{ჰო}} + \Delta R_{2\text{გრიგ.}} \\ r_s &= \Delta R_s + \Delta R_{s\text{ჰო}} + \Delta R_{s\text{გრიგ.}} \end{aligned} \right\} \quad (4.4)$$

სადაც: $\Delta R_1, \Delta R_2, \Delta R_s$ - ელექტრული დანაკარგები შესაბამისად
პირველადი, მეორადი და აგზების გრაგნილის;

$\Delta R_{1\text{ჰო}}, \Delta R_{2\text{ჰო}}, \Delta R_{s\text{ჰო}}.$ - ეკვივალენტური აქტიური წინადობები,
ითვალისწინებს პისტერიზისულ დანაკარგებს შესაბამისად პირველად,
მეორად და აგზების გრაგნილში;

$\Delta R_{1\text{გრიგ.}}, \Delta R_{2\text{გრიგ.}}, \Delta R_{s\text{გრიგ.}}$ - წინადობები, ითვალისწინებს გრიგალურ
დანაკარგებს შესაბამისად პირველად, მეორად და აგზების
გრაგნილში.

ზეტოვის განხილვის დროს, ცალკეული აგზების გრაგნილით,
როგორც სამგრაგნილა ტრანსფორმატორი, აუცილებელია ცხრა
ინდუქციურობის განსაზღვრა. თუმცა, გამარტივებული მიდგომის დროს,
შეიძლება შემოვიფარგლოთ ინდუქციურობების ნაკლები რაოდენობით,

სახელდობრ: $L_{1_{\text{გან}}}, L_{2_{\text{გან}}}$, -პირველადი და მეორადი გრაგნილების

განბნევის ინდუქციურობები;


$L_{\text{ა_გან}}$, -აგზნების გრაგნილის განბნევის ინდუქციურობა;

M -პირველად (მეორად) გრაგნილებს და აგზნების გრაგნილს
შორის ურთიერთინდუქციურობა.

ზეგამტარულ ტრანსფორმატორში, განსხვავებით ჩვეულებრივ
ტრანსფორმატორისაგან, აუცილებელია დამატებით გავითვალისწინოთ
გრაგნილის კინეტიკური ინდუქციურობა, დაკავშირებული გრაგნილებში
ზეგამტარული ელექტრონების თავისუფლად მოძრავი კინეტიკური
ენერგიასთან. კინეტიკური ინდუქციურობის L_s სიდიდისგან არის
დამოკიდებული ელექტრული წინაღობების სიდიდეები $\Delta R_1, \Delta R_2, \Delta R_s$ და
შესაბამისად ზეგამტარული გრაგნილების დენგამტარუნარიანობა.

$L_{1_{\text{გან}}}, L_{2_{\text{გან}}}, L_{\text{ა_გან}}, M, M_s$ ინდუქციურობების სიდიდეზე კინეტიკური
ინდუქციურობა L_s პრაქტიკულად გავლენას ვერ ახდენს შედარებით
უმნიშვნელო სიდიდის გამო.

ნახ. 4.3 ნაჩვენებია ცალკეული აგზნების გრაგნილით ზგტ-ის
გრაგნილების განლაგება. ასეთი დაყოფა გრაგნილების ფუნქციის
შეიძლება დაუშვათ, გრაგნილების გარკვეული განლაგებით
ერთმანეთის მიმართ. მაგალითისთვის ნაჩვენებია გრაგნილების
განლაგება დეროიანი ტიპის ზგტ-ში.



ნახ. 4.3. ცალკეული აგზნების გრაგნილით ზგბ-ის

გრაგნილების განლაგება

აგზნების გრაგნილი - δ ხვიათა რიცხვით W_s იმყოფება გულარასთან ახლოს, ხოლო პირველადი - 1 და მეორადი - 2 გრაგნილები ხვიათა რიცხვებით W_1 და W_2 იმყოფებიან გარკვეული დაშორებით აგზნების გრაგნილისაგან და განლაგებულია ახლოს ერთმანეთის მიმართ.


ჩვეულებრივ ორგრაგნილა ტრანსფორმატორში პირველადი გრაგნილი ითავსებს ძალოვანი გრაგნილის და აგზნების გრაგნილის დანიშნულებას. ამასთან დაკავშირებით, დატვირთვის რეჟიმში პირველადი გრაგნილის დენი შედგება ორი მდგენელისაგან: აგზნების დენი, რომელიც წარმოქმნის ძირითად მაგნიტურ ნაკადს ტრანსფორმატორის მაგნიტოგამტარში, და დატვირთვის დენი, რომელიც აკომპენსირებს მეორად გრაგნილში დენს.

ზგტ-ში პირველადი მხარეს, როგორც იყო აღნიშნული,
შესრულებულია ორი გრაგნილი, ამ შემთხვევაში 1 - გრაგნილში უნდა
გაიაროს მხოლოდ დატვირთვის დენძა, ხოლო აგზნების გრაგნილში-
მხოლოდ აგზნების დენძა.

ვითვალისწინებთ, რომ ზგტ-ის სამივე გრაგნილი ერთმანეთთან
მაგნიტურად დაკავშირებულია, დენძი და სიმძლავრეები
დამოკიდებულია გრაგნილების პარამეტრებზე.

ზგტ-ის თანაფარდობების მიღებისათვის, აუცილებელია გამოვიდეთ
სამგრაგნილა ტრანსფორმატორის ზოგადი განტოლებებიდან [29].

გარკვეული დაშვებებით, საანგარიშო სქემა სამგრაგნილა
ტრანსფორმატორის მიღების სახეს, ნახ. 4.4.



ნახ. 4.4. ცალკეული აგზნების გრაგნილით ზგტ-ის საანგარიშო სქემა.

მიღებულია შემდეგი დაშვებები:

- წრედი შეიცავს მხოლოდ აქტიურ და ინდუქციურ წინაღობებს, ტევადური დენები გამორიცხულია;
- გრაგნილების ყველა პარამეტრები მუდმივია, და წრედი ხაზოვანია;
- ზოგადი ამონახსნის მიღებისათვის, გრაგნილებს გააჩნია აქტიური წინაღობა: r_1, r_2, r_s .
- ზგვის გრაგნილებისათვის ელექტრული წონასწორობის განტოლებებს ექნება შემდეგი სახე.

$$\left. \begin{aligned} U_1 &= r_1 i_1 + \left(L_{1_{\text{გან.}}} + M_1 \right) \frac{di_1}{dt} + M_{12} \frac{di_2}{dt} + M_{1s} \frac{di_s}{dt} \\ -U_2 &= r_2 i_2 + \left(L_{2_{\text{გან.}}} + M_2 \right) \frac{di_2}{dt} + M_{21} \frac{di_1}{dt} + M_{2s} \frac{di_s}{dt} \\ U_s &= r_s i_s + \left(L_{s_{\text{გან.}}} + M_s \right) \frac{di_s}{dt} + M_{1s} \frac{di_1}{dt} + M_{2s} \frac{di_2}{dt} \end{aligned} \right\} \quad (4.5)$$

(4.5) განტოლებათა სისტემაში r_1, r_2, r_s - გრაგნილების აქტიური წინაღობები; $L_{1_{\text{გან.}}}, L_{2_{\text{გან.}}}, L_{s_{\text{გან.}}}$ - გრაგნილების განპნევის ინდუქციურობები;

$M_1, M_2, M_s, M_{1s}, M_{2s}$ - ურთიერთინდუქციურობების კოეფიციენტი.

ინდუქციურობების კოეფიციენტებისათვის გვექნება:

$$\left. \begin{aligned} M_1 &= W_1^2 \Lambda_1 = M; & M_{2s} &= M_{s2} = W_2 W_s \Lambda_{2s}; \\ M_2 &= W_2^2 \Lambda_2; & L_{1_{\text{გან.}}} &= W_1^2 \Lambda_{1_{\text{გან.}}}; \\ M_s &= W_s^2 \Lambda_s; & L_{2_{\text{გან.}}} &= W_2^2 \Lambda_{2_{\text{გან.}}}; \\ M_{12} &= M_{21} = W_1 W_2 \Lambda_{12}; & L_{s_{\text{გან.}}} &= W_s^2 \Lambda_{s_{\text{გან.}}}. \\ M_{1s} &= M_{s1} = W_1 W_s \Lambda_{1s}; \end{aligned} \right\} \quad (4.6)$$

(4.6) განტოლებათა სისტემაში $\Lambda_1, \Lambda_2, \Lambda_s, \Lambda_{12}, \Lambda_{1s}, \Lambda_{2s}, \Lambda_{1\circlearrowleft}, \Lambda_{2\circlearrowleft}, \Lambda_{s\circlearrowleft}$ -

შესაბამისი გრაგნილების მაგნიტური გამტარობები, ზოგად შემთხვევაში განსხვავდება ერთმანეთისაგან; W_1, W_2, W_s -პირველადი, მეორადი და აგზების გრაგნილების ხვიათა რიცხვი.

ანგარიშის გამარტივებისათვის, იმ შემთხვევაში, როცა 1 და 2 გრაგნილები განლაგებულია ერთმანეთისაგან ახლოს (ნახ.4.3), შეიძლება დაუშვათ:

$$\begin{aligned} \Lambda_1 &= \Lambda_2 = \Lambda_{12} = \Lambda; \\ \Lambda_{1s} &= \Lambda_{2s} = \Lambda_s \end{aligned} \quad \left. \right\} \quad (4.7)$$

(4.7) თანაფარდობის გათვალისწინებით, (4.6) განტოლებებიდან მივიღებთ:

$$\begin{aligned} M_1 &= W_1^2 \Lambda; & M_{12} &= M_{21} = W_1 W_2 \Lambda; \\ M_2 &= W_2^2 \Lambda; & M_{1s} &= M_{s1} = W_1 W_s \Lambda_s; \\ M_s &= W_s^2 \Lambda_s; & M_{2s} &= M_{s2} = W_2 W_s \Lambda_s; \end{aligned} \quad \left. \right\} \quad (4.8)$$

(4.6-4.8) თანაფარდობების გათვალისწინებით (4.5) განტოლებათა სისტემა მიიღებს შემდეგი სახეს:

$$\begin{aligned} U_1 &= r_1 i_1 + W_1^2 \Lambda_{1\circlearrowleft} \frac{di_1}{dt} + W_1^2 \Lambda \frac{di_1}{dt} + W_1 W_2 \Lambda \frac{di_2}{dt} + W_1 W_s \Lambda_s \frac{di_s}{dt} \\ -U_2 &= r_2 i_2 + W_2^2 \Lambda_{2\circlearrowleft} \frac{di_2}{dt} + W_2^2 \Lambda \frac{di_2}{dt} + W_2 W_1 \Lambda \frac{di_1}{dt} + W_2 W_s \Lambda_s \frac{di_s}{dt} \\ U_s &= r_s i_s + W_s^2 \Lambda_{s\circlearrowleft} \frac{di_s}{dt} + W_s^2 \Lambda_s \frac{di_s}{dt} + W_s W_1 \Lambda \frac{di_1}{dt} + W_s W_2 \Lambda \frac{di_2}{dt} \end{aligned} \quad \left. \right\} \quad (4.9)$$

შემოვიყვანოთ შემდეგი აღნიშვნები:

$K_{1s} = \frac{W_1}{W_s}$ - ტრანსფორმაციის კოეფიციენტი პირველად გრაგნილსა და აგზების გრაგნილს შორის;

$K_{12} = \frac{W_1}{W_2}$ - ტრანსფორმაციის კოეფიციენტი პირველად და მეორად გრაგნილებს შორის;

$$i_2' = -\frac{1}{K_{12}} i_2, \quad i_s' = \frac{1}{K_{1s}} i_s \quad (4.10)$$

i_s' - აგზების დენი დაყვანილი პირველად გრაგნილთან;

i_2' - მეორადი დენი დაყვანილი პირველად გრაგნილთან.

თუ დავიყვანთ მეორად გრაგნილის და აგზების გრაგნილის ყველა სიდიდეებს პირველად გრაგნილთან, გავითვალისწინებთ (4.9) და (4.10) განტოლებებს, გარდაქმნის შემდეგ, მივიღებთ ტრანსფორმატორის შემდეგი დაყვანილი განტოლებათა სისტემას

$$\left. \begin{aligned} U_1 &= r_1 i_1 + L_{1\text{გან}} \frac{di_1}{dt} + M \frac{d(i_1 - i_2')}{dt} + \alpha M \frac{di_s'}{dt} \\ U_2' &= -r_2' i_2 - L_{2\text{გან}} \frac{di_2'}{dt} + M \frac{d(i_1 - i_2')}{dt} + \alpha M \frac{di_s'}{dt} \\ U_s' &= r_s' i_s + L_{s\text{გან}} \frac{di_s}{dt} + \alpha M \frac{d(i_1 - i_2' + i_s')}{dt} \end{aligned} \right\} \quad (4.11)$$

(4.11) განტოლებათა სისტემაში გვაქვს შემდეგი აღნიშვნები:

$$\left. \begin{aligned} \alpha &= \frac{\Lambda_s}{\Lambda}; & L_{s\text{გან}}' &= K_{1s}^2 L_{s\text{გან}}; \\ U_2' &= -K_{12} U_2; & r_2' &= K_{12}^2 r_2 \\ U_s' &= K_{1s} U_s; & r_s' &= K_{1s}^2 r_s \\ L_{2\text{გან}}' &= K_{12}^2 L_{2\text{გან}}. & & \end{aligned} \right\} \quad (4.12)$$

(4.11) განტოლებათა სისტემა აღწერს გარდამავალ პროცესებს ზემო-ში. მივიღოთ აღნიშვნა $P = \frac{d}{dt}$, რამოდენიმე გარდაქმნის შემდეგ (4.11) განტოლებათა სისტემიდან მივიღებთ:

$$\left. \begin{aligned} U_1 &= r_1 i_1 + PL_{1\text{გან}} i_1 + PM(i_1 - i_2') + P\alpha M(i_1 - i_2' + i_s') \\ -U_2' &= -r_2' i_2' - PL_{2\text{გან}} i_2' + P(1 - \alpha)M(i_1 - i_2') + P\alpha M(i_1 - i_2' + i_s') \\ U_s' &= r_s' i_s' + PL_{s\text{გან}} i_s' + \alpha PM(i_1 - i_2' + i_s') \end{aligned} \right\} \quad (4.13')$$

(4.13') განტოლებათა სისტემიდან იოლად მივიღებთ, ზემო-ის სტაციონარული პროცესების განტოლებებს, თუ P -ს შევცვლით $j\omega$ -თი, სადაც ω - კუთხეური სიხშირე, პირველადი გრაგნილზე მოდებული ძაბვის. თუ ავდნიშნავთ $\omega M = x_M$, მაშინ სტაციონარული რეჟიმებისათვის განტოლებათა სისტემას კომპლექსურ ფორმაში აქვს შემდეგი სახე:


$$\left. \begin{aligned} \underline{U}_1 &= r_1 \underline{I}_1 + j X_{1_{\text{d}} \times 6} \underline{I}_1 + j(1 - \alpha) X_M (\underline{I}_1 - \underline{I}'_2) + j \alpha X_M (\underline{I}_1 - \underline{I}'_2 + \underline{I}'_3), \\ -\underline{U}'_2 &= r'_2 \underline{I}'_2 + j X_{2_{\text{d}} \times 6} \underline{I}'_2 - j(1 - \alpha) X_M (\underline{I}_1 - \underline{I}'_2) - j \alpha X_M (\underline{I}_1 - \underline{I}'_2 + \underline{I}'_3), \\ \underline{U}'_3 &= r'_3 \underline{I}'_3 + j X_{3_{\text{d}} \times 6} \underline{I}'_3 + j \alpha X_M (\underline{I}_1 - \underline{I}'_2 + \underline{I}'_3) \end{aligned} \right\} \quad (4.13)$$

ზეგამტარულ ტრანსფორმატორებში სტაციონარული და გარდამავალი პროცესების ანგარიშისათვის დამუშავებული საინჟინრო მეთოდი, შეიძლება გამოყენებული იქნეს ელექტრომაგნიტური პროცესების შესწავლისათვის ზეგამტარული ელექტრულ მანქანებში, მუდმივი და ცვლადი დენის ელექტროგადამცემ ხაზებში, ზეგამტარულ ინდუქციურ მაგროვებლებში და ა.შ. რომლის ბაზაზე, შეიძლება შეიქმნას ზეგამტარული ელექტრული და ელექტრომაგნიტური სისტემები.

4.5. ზეგამტარული ტრანსფორმატორების გრაგნილების სადენების დენგამტარუნარიანობა და დანაკარგები ცვლად მაგნიტურ ველში [30]

ენერგეტიკული დანიშნულების ზეგამტარული ტრანსფორმატორების დამუშავება და შექმნა მოითხოვს ზეგამტარული (ზგ) სადენების გამოყენებას მაღალი დენგამტარუნარიანობით და დაბალი დანაკარგებით. აღნიშნული მიზნის მიღწევა შესაძლებელია მრავალძარღვიანი ზეგამტარული სადენებით ლოკალიზებული მაგნიტური ველით (მძგვსლ), რომელშიც ურთიერთ გავლენა ცალკეული ძარღვების მაგნიტური ველების დაყვანილია მინიმუმამდე. გრაგნილების ასეთი შესრულებით დენგამტარუნარიანობა თითოეული ზგ ძარღვის განისაზღვრება საკუთარი მაგნიტური ველით და საკუთარი პარამეტრებით. თუ ერთძარღვიანი ზგ სადენში (ნახ. 4.5, a) გადის ცვლადი სინუსოიდური დენი

$$i = I_{\text{d}} \sin \omega t = I_{\text{d}}^* I_{\text{d}} \sin \omega t, \quad I_{\text{d}}^* = \frac{I_{\text{d}}}{I_{\text{d}}} \quad (4.14)$$



ნახ.4.5 სქემები და გაძროვული დიაგრამები

სადენის ზედაპირზე მაგნიტური ინდუქციისათვის გვექნება:

$$B_o = \mu_o \frac{i}{2\pi r_o} =^* B_\delta; \quad ^* B_o = \frac{B_o}{B_\delta} =^* i; \quad ^* B_{o\delta} =^* I_\delta; \quad B_\delta = \mu_o \frac{I_\delta}{2\pi r_o}; \quad (4.15)$$

სადაც I_δ -დენის კრიტიკული მნიშვნელობა,

$^* I_\delta = \frac{I_a}{I_\delta}$ - მაქსიმალური დენის ფარდობითი მნიშვნელობა.

ზეგამტარულ სადენში დენი შედგება ორი მდგენელისაგან (ნახ.4.5)

$$i = i_6 + i_{b6} \quad (4.16)$$

სადაც i_6 -დენის აქტიური მდგენელია, ან დენი გამოწვეული ნორმალური ელექტრონებისაგან,

i_{b6} - დენის ზეგამტარული მდგენელი.

სრული დენის აქტიური მდგენელი იზღუდება წინაღობით, რომლისთვისაც

$$R_6 = \rho_6 \frac{\ell}{S_\lambda} = \frac{\rho_{60}}{^* n_6} \frac{\ell}{S_o S_\lambda^*} = \frac{1}{^* n_6 S_\lambda^*} R_{60}, \quad (4.17)$$

სადაც $R_{60} = \rho_{60} \frac{\ell}{S_o}$,

ℓ -სადენის სიგრძეა,

$\rho_6 = \frac{\rho_{60}}{^* n_6}$ -სადენის ხვედრითი წინაღობაა,

$\frac{S_\lambda}{S_o} = \frac{s_\lambda}{s_o}$ - ზგ სადენის დენით დაკავებული ფარდობითი ფართია

მთლიანი ფართის $S_o = \pi r_o^2$ ნაწილიდან,

ρ_{60} -ხვედრითი წინაღობაა, როცა $n_6^* = 1$,

$n_6^* = \frac{n_6}{n_o}$ - ნორმალური ელექტრონების სიმკვრივის ფარდობითი მნიშვნელობაა,

n_6 - ერთეულ მოცულობაში ნორმალური ელექტრონების რიცხვი,

n_0 - ერთეულ მოცულობაში საერთო ელექტრონების რიცხვი.

R_{60} -ნორმალურ მდგომარეობაში ზგ სადენის წინაღობა, როცა $n_6^* = 1$

სრული დენის ზეგამტარული მდგენელი იზღუდება კინეტიკური ინდუქციურობით

$$L_3 = \ell_3 \frac{\ell}{S_\lambda} = \frac{\ell_3}{\frac{n_{n_3}}{n_o} S_o} \frac{\ell}{\frac{n_{n_3}}{n_o} S_\lambda} = \frac{1}{\frac{n_{n_3}}{n_o} \frac{n_{n_3}}{n_o} S_\lambda} L_{3o} \quad (4.18)$$

სადაც $n_{n_3} = \frac{n_{n_3}}{n_o}$ - ზეგამტარული ელექტრონების სიმკვრივის ფარდობითი მნიშვნელობაა

$L_{3o} = \ell_{3o} \frac{\ell}{S_o}; \ell_3 = \frac{\ell_{3o}}{\frac{n_{n_3}}{n_o}}$ -ხვედრითი კინეტიკური ინდუქციურობა, n_{n_3} -

ერთეულ მოცულობაში ზეგამტარული ელექტრონების რიცხვი.

ℓ_{3o} -ხვედრითი კინეტიკური ინდუქციურობა, როცა $n_{n_3}^* = 1$;

$\ell_{3o} = \frac{m}{n_0 e^2}$, სადაც m -ელექტრონების მასა; e - ელექტრონების მუხტის

მნიშვნელობა.

n_{n_3} და n_6^* ელექტრონების სიმკვრივის ცვლილების განსაზღვრისათვის, მაქსიმალური დენისაგან დამოკიდებულებაში გვექნება

$$\frac{n_{n_3}}{n_o} = 1 - \frac{\gamma_0}{B_\beta} \frac{1}{1 - \frac{\gamma_0}{I_\beta}}; \quad n_6^* = \frac{\gamma_0}{B_0 \beta} = \frac{\gamma_0}{I_0 \beta}$$

სადაც γ_0 -უგანზომილებო კოეფიციენტი, რომელიც მიიღება ექსპერიმენტალური გზით [1].

დენით დაკავებული ფართი, იცვლება დენის შეღწევის სიღრმისაგან დამოკიდებულებაში:

$$s^* = \frac{S_\lambda}{S_o} = \frac{2\pi(r_o - \frac{\lambda}{2})\lambda}{\pi r_o^2}, \quad (4.19)$$

სადაც λ -დენის შეღწევადობის სიღრმე,

